პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 109 (9885) | კვირა, 9 მაისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ბრძანება სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა (1-ლი გვერდი).

უკრაინის ტ. გ. შევჩენკოს სახელობის თეატრის პირველი სპექტაკლი (1-ლი გვერდი).

ნ. გრიტჩინი. — საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვება (მე-2 გვერდი).

პარტიული ცხოვრება. — ერთი წრის მეცადინეობაზე. პროპაგანდისტებს — შემოქმედებითი დახმარება. რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისადმი მიძღვნილი პარტიული კრება (მე-2 გვერდი).

თესვის პროგრესულ მეთოდებს უგულებელყოფენ (მე-3 გვერდი).

ცხვრის საზაფხულო გადარეკვას მოუმზადებელი შეხვდნენ (მე-3 გვერდი).

უკრაინული ოპერა ქართულ სცენაზე (მე-3 გვერდი).

ჟენევის თათბირზე საბჭოთა დელეგაციის [illegible] კონფერენციაა (მე-4 გვერდი).

საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

დავამთავროთ პარჭიის სასოფლო რაიკომების გარდაქმნა

ჩვენი ქვეყნის მშრომელები უდიდესი ენერგიით ახორციელებენ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარების ლენინური ძეგლისწერილებს, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ დასახა. სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის უმნიშვნელოვანესი პირობა ის არის, რომ ყოველი ლენინისეული ავამაღლოთ სოფლად პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის დონე.

ამ მიზნით პარტია გარდაქმნის რაიონული პარტიული აპარატის მუშაობას, უახლოეს მას სასოფლო-სამეურნეო წარმოებას. პარტიის სასოფლო რაიკომებში შექმნილია ინსტრუქტორთა ჯგუფები რაიკომთა მდივნების მეთაურობით. ამ ჯგუფებმა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა უნდა აწარმოონ უშუალოდ მტს-ებსა და იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც მტს-ები მომსახურებას უწევენ. სოლოქო და რესპუბლიკური ცენტრებიდან სოფლად პარტიულ სამუშაოზე გაიგზავნა ათასობით კომუნისტი, რომლებსაც ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გამოცდილება აქვთ.

პარტიის ბევრი სასოფლო რაიკომის გამოცდილება ცხადყოფს, რომ სადაც გარდაქმნა მოხდა არა ფორმალურად, არამედ არსებითად, იქ მნიშვნელოვნად ამაღლდა მასებში პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონე. პარტიის რაიკომები და პარტიული ორგანიზაციები უფრო ღრმად სწვდებიან სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, მეტ ყურადღებას აქცევენ ადამიანებთან მუშაობას, კადრების შერჩევასა და აღზრდას. ეს დადებითს გავლენას ახდენს საგაზაფხულო თესვის მსვლელობაზე.

ამავე დროს არ შეიძლება არ დავინახოთ აგრეთვე პარტიის სასოფლო რაიკომების მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანი. სოლოქო, სამხარეო კომიტეტებისა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების ამასწინანდელ პლენუმებზე, რომლებიც განიხილავდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმის შედეგებს, აღინიშნა, რომ მთელ რიგ ადგილებში პარტიის რაიკომებისა და რაიაღმასკომების მუშაობის გარდაქმნა ნელა მიმდინარეობს და ხშირად ფორმალური ხასიათი აქვს. რაიკომების მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ ძველი მეთოდებით მუშაობს, გატაცებულია იმით, რომ მართავს ყოველგვარ სხდომებსა და თათბირებს, იღებს მრავალ გადაწყვეტილებას და გზავნის დირექტივებს. პარტიის რაიკომების მდივნები მტს-ების ზონების მიხედვით და ინსტრუქტორები ჯერ კიდევ იშვიათად არიან ხოლმე კოლმეურნეობებში.

ასეთი ფაქტებია, მაგალითად, ომსკის ოლქის მთელ რიგ რაიონებში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ომსკის საოლქო კომიტეტის პლენუმის მონაწილენი ამბობდნენ, რომ ბევრი მუშაკი რაიკომების ინსტრუქტორთა ჯგუფებისა მტს-ების მიხედვით დღემდე რაიონულ ცენტრში ცხოვრობს, კოლმეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში კი ზოგჯერ თუ შეიხედავს.

კერძოდ, ეს ეხება პარტიის რუსკაია პოლიანის რაიკომს. აქ ბიუროს სხდომები 10-12 საათს გრძელდება. ამ სხდომებზე უამრავ სხვადასხვა საკითხს განიხილავენ. რაიონულ ცენტრში გაწუწყვეტლივ იწვევენ ყოველგვარ სხდომებსა და თათბირებს, რომლებზეც ბევრ ადამიანს იწვევენ სოფლიდან. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთ დღეს საოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების მდივნები დაიბარეს ერთბაშად ოთხ თათბირზე. ასეთ სურათს შეხვდებით პავლოგრადის რაიონში.

სხდომებისადმი მიდრეკილება, რამაც ღრმად გაიდგა ფესვი, იმას იწვევს, რომ ზოგიერთი ხელმძღვანელი კარგავს უნარს ღრმად ერკვეოდეს ცხოვრების მოვლენებში, მხოლოდ ქაღალდების მიხედვით მსჯელობს იმაზე, თუ რა მდგომარეობაა ადგილობრივ. ისინი დაუსრულებლად წერენ თვითონ, აწერინებენ სხვა მუშაკებს, მოითხოვენ პასუხს თავიანთ დირექტივებზე. კოკჩეტავის ოლქში პარტიის რაიკომების ზოგიერთი მდივანი მტს-ების ზონების მიხედვით მასებში ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობას სასხდომო ფუსფუსითა და ქაღალდების თხზვით ცვლის. იმეორებენ რა სასოფლო რაიკომების მუშაობის ძველ, დრომოჭმულ მეთოდებს, მათ თავიანთი საქმიანობა იმით დაიწყეს, რომ შექმნეს დიდი კანცელარიული მეურნეობა, გახსნეს „საქმეები“, სადაც აკერებენ წერილობით მითითებებს კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციებისადმი, ნაკრებ ცნობებს, ანგარიშებს და სხვ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმმა დააკალა საოლქო, სამხარეო კომიტეტებს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს უმოკლეს ვადაში დაამთავრონ სასოფლო რაიკომების გარდაქმნა. მუშაობა პარტიის რაიკომების მდივნებისა და ინსტრუქტორებისა მტს-ების ზონების მიხედვით ისე უნდა მოეწყოს, რომ არა ფორმალურად, არამედ არსებითად აღმოიფხვრას გაუპიროვნება და უპასუხისმგებლობა მტს-ებისა და კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობაში. პარტიის სასოფლო რაიკომის, მტს-ების ზონების მიხედვით მისი ინსტრუქტორთა ჯგუფების მთელ საქმიანობაში მთავარია ცოცხალი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, კოლმეურნეების, მექანიზატორების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მობილიზაცია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის საბრძოლველად.

სასოფლო რაიკომის მუშაკები უნდა იყვნენ არა კანცელარიებსა და კაბინეტებში, არამედ კოლმეურნეობებში, ბრიგადებში, მეცხოველეობის ფერმებში, პირველად პარტიულ ორგანიზაციებში. მხოლოდ ყოველდღიური, მჭიდრო ურთიერთობა კოლმეურნეებთან, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებთან აძლევს რაიკომს შესაძლებლობას ღრმად ჩასწვდეს ცხოვრებას, კვალიფიციურად უხელმძღვანელოს სოფლის მეურნეობას. პარტიული მუშაკის მოვალეობაა დროზე ამჩნევდეს და მხარს უჭერდეს ყოველივე ახალს, მოწინავეს, რასაც წარმოშობს მასების შემოქმედებითი ენერგია, დროზე ამჟღავნებდეს და აღმოფხვრიდეს ნაკლოვანებებს, უკეთ სწავლობდეს კადრებს და სწორად ზრდიდეს მათ.

პარტიული მუშაკი თავისი საქმიანობის შედეგებს უნდა ზომავდეს არა გამართული სხდომებისა და თათბირების რაოდენობით, არა ქაღალდის დირექტივების სიუხვით, არამედ იმით, რაც მან პრაქტიკულად გააკეთა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განვითარებისათვის, თვითეული ბრიგადისა და ფერმის მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ამისათვის კი საჭიროა, რომ რაიკომების მდივნებსა და ინსტრუქტორებს კარგად ესმოდეთ მათ წინაშე მდგომი ამოცანები, ერკვეოდნენ საოლქოეურნეო წარმოებაში.

სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში უდიდეს როლს ასრულებენ მტს-ების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციები. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრნა, რომ რაიკომები, მათი ინსტრუქტორთა ჯგუფები მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ზონების მიხედვით შეძლებენ შეასრულონ მათ წინაშე დასახული ამოცანები მხოლოდ საკუთარი ძალებით, ისე, რომ არ დაეყრდნონ პირველადს პარტორგანიზაციებს.

რაიკომების მოვალეობაა განუწყვეტლივ განამტკიცებდნენ სასოფლო პარტიულ ორგანიზაციებს, ავითარებდნენ მათს ინიციატივას, ეხმარებოდნენ მათ პრაქტიკული საკითხების გადაჭრაში. საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას კომუნისტთა და კომკავშირელთა სწორი განაწილება, განმტკიცდეს სასოფლო პარტიული ორგანიზაციების მდივნების შემადგენლობა მომზადებული, გამოცდილი პარტიული მუშაკებით.

პარტიის სასოფლო რაიკომების მუშაობის გარდაქმნა, მტს-ების ზონების მიხედვით ინსტრუქტორთა ჯგუფების შექმნა კი არ ამცირებს, არამედ, პირიქით, აძლიერებს რაიკომის პირველი მდივნის პასუხისმგებლობას მტს-ებისა და კოლმეურნეობების საქმეებისათვის. ამავე დროს ფაქტები გვიჩვენებენ, რომ პარტიის რაიკომების ზოგიერთი პირველი მდივანი ცდილობს თავი აარიდოს მტს-ების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი ხელმძღვანელობას. მაგალითად, მორდვეთის ასს რესპუბლიკაში რიბკინოს, ტორბეევოს, ბოლშოე-ოგნატოვოს რაიკომების პირველი მდივნები სუსტად სწვდებიან მტს-ებისა და კოლმეურნეობების საქმიანობას, მიაჩნიათ რა, რომ მათი მუშაობისათვის მთლიანად და სავსებით პასუხს აგებენ ინსტრუქტორთა ჯგუფები. პარტიის რაიკომის პირველი მდივანი არ უნდა არიდებდეს თავს პასუხისმგებლობას, არ უნდა უვლიდეს გვერდს თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისადმი, თვითეული მტს-ისადმი ხელმძღვანელობას.

პარტიის სასოფლო რაიკომების წინაშე დასახული დიდი და რთული ამოცანები შეიძლება წარმატებით გადაიჭრას მხოლოდ მაშინ, თუ მათ ყოველდღიურ ხელმძღვანელობას უწევენ საოლქო, სამხარეო კომიტეტები და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები. რაიკომებს ესაჭიროებათ არა ზოგადი მითითებანი, არა რევიზორთა ჩამოვლა, არამედ ცოცხალი, კონკრეტული დახმარება. სოლოქო პარტიული აპარატის მუშაკებმა თავიანთი ენერგია უნდა მოახმარონ არა ქაღალდების შედგენას, არამედ იმას, რომ ინსტრუქტაჟი გაუწიონ ადამიანებს ადგილობრივ, შეასრულონ კონკრეტული საქმე.

სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონის ამაღლებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის რაიონული რგოლის განმტკიცებას კვალიფიციური კადრებით. მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ ოლქებში ამ საქმეს სერიოზული ყურადღება არ ექცევა. ზოგიერთმა პარტიულმა კომიტეტმა, კერძოდ, პარტიის სარატოვის საოლქო კომიტეტმა, სასოფლო რაიონებში ცოტა გაგზავნა მუშაკები. ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელია.

ამჟამად მთელ ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულია მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები. მიმდინარე წელს საგაზაფხულო თესვის წარმატებით დამთავრება უნდა გახდეს დიდი ნაბიჯი მარცვლეულის წარმოების გადიდებისათვის, ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან სათავეში ჩაუდგნენ სოფლის მშრომელთა აქტივობას და უზრუნველყონ საგაზაფხულო თესვისა და შემდგომი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ორგანიზებული დამთავრება. საჭიროა უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება უხვი მოსავლისათვის, საზოგადოებრივი პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებისათვის, გულმოდგინედ ვნერგოთ მეცნიერების მიღწევები და ნოვატორთა გამოცდილება.

პარტიის სასოფლო რაიკომი მასებში პოლიტიკური მუშაობის ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ცენტრია. რაიკომის მთელი საქმიანობის წარმატებას განსაზღვრავს ის, თუ როგორ ხელმძღვანელობს იგი ბრძოლას პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის, რა შედეგს იძლევა ეს ბრძოლა. სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის მეთოდების შემდგომი გაუმჯობესება, პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონის ამაღლება იმის საწინდარია, რომ განუხრელად განვახორციელებთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ყველა დარგის განვითარების პროგრამას, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავა.

„პრავდის“ 8-ვ მოწინავე.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

№ 62

1954 წ. 9 მაისი | ქ. მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!
ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს შესრულდა ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ძლევამოსილი დამთავრების მეცხრე წლისთავი.

ცხრა წლის წინათ საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა ჩვენი მოკავშირეების ჯარებთან ერთად ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში მოიპოვეს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირადმა შემადგენლობამ უმაგალითო გმირობა და დიდი სამხედრო ოსტატობა, სამხედრო მოვალეობისადმი ერთგულება და თავისი სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულება გამოიჩინა.

ვუოლაცავ შეიარაღებული ძალების მთელ პირად შემადგენლობას გამარჯვების დღეს და ამ ისტორიული დღის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

დღეს, 9 მაისს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებსა და გმირ-ქალაქებში: ლენინგრადში, სტალინგრადში, სევასტოპოლსა და ოდესაში მიცემულ იქნას სალუტი ოცდაათი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს ძლევამოსილ საბჭოთა ხალხსა და მის სახელოვან შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაიღუპნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ა. ბულგანინი.

უკრაინის ტ. გ. შევჩენკოს სახელოგის თეატრის პირველი სპექტაკლი

7 მაისს მოსკოვში, სსრ კავშირის დიდ თეატრში, რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად დაიწყო კიევის ტ. გ. შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლები.

სპექტაკლის დაწყების წინ მოსკოვის ხელოვნების მუშაკთა სახელით უკრაინელ მსახიობებს მიესალმა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ნ. ხანაევი.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ კომპოზიტორმა კ. დანკევიჩმა.

თეატრმა მოსკოველებს უჩვენა უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის კომპოზიტორ კ. დანკევიჩის ოპერა „ბოგდან ხმელნიცკი“. ლიბრეტოს ავტორები არიან სტალინური პრემიის ლაურეატები ვ. ვასილევსკაია და ა. კორნეიჩუკი. დირიჟორი უკრაინის სსრ სახალხო არტისტი ნ. პოკროვსკი; სპექტაკლის რეჟისორია სსრ კავშირის სახალხო არტისტი სტალინური პრემიის ლაურეატი მ. კრუშელნიცკი. სპექტაკლი გააფორმა სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა ა. პეტრიცკიმ. დადგმის მუსიკალური ხელმძღვანელია უკრაინის სსრ და ყაზახეთის სსრ სახალხო არტისტი ვ. პირადოვი.

ბოგდან ხმელნიცკის პარტია შეასრულა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა სტალინური პრემიის ლაურეატმა მ. გრიშკომ, დიდი რუსეთის ელჩისა — უკრაინის სსრ დამსახურებულმა არტისტმა ვ. მატვეევმა, კრივონოსისა — სსრ კავშირის სახალხო არტისტმა სტალინური პრემიის ლაურეატმა ბ. გმირიამ, ბოგუნისა — უკრაინის სსრ სახალხო არტისტმა ვ. ბორიშჩენკომ, ვარვარასი — უკრაინის სსრ დამსახურებულმა არტისტმა ნ. გონჩარენკომ.

მოსკოველებმა დიდი ინტერესით ნახეს სპექტაკლი, რომელიც ტ. გ. შევჩენკოს სახელობის კოლექტივმა უჩვენა ახალი საავტორო რედაქციითა და ახალი დადგმით.

მაყურებლები მხურვალედ მიესალმნენ უკრაინელ მსახიობებს. (საკდესი).

მწყემსის სიმღერა

ფერმის ბატკნებთან დავდივარ
გალაღებული გულითა,
ნორჩ ბალახებში დამიდის
და ვატკბობ სალამურითა.
დაკუნტრუშობენ, ხარობენ,
ჰაერში სკუპზე ხტებიან,
ხან ჭიდაობენ, ლაღობენ,
ხან ტკბილად იცოხნებიან.

მწყემსად ვატარებ სიცოცხლეს
უენო სალამურზედა,
დავტკბები წიფლის გრილოში
დაყრილ ბატკნების რულზედა.
აიშლებიან რიგრიგად,
მლოკავენ ხელისგულზედა,
მათთან ყოფნა და სიცოცხლე
უფრო ტკბილია სულზედა.

ს. ჩანგაშვილი.

საბჭოთა პატრიოტიზმი — დიად გამარჯვებათა წყარო

საბჭოთა ხალხს უსაზღვროდ უყვარს თავისი სოციალისტური სამშობლო, სადაც მან მოიპოვა თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების, შემოქმედებითი შრომის სულ უფრო გაფურჩქვნის შესაძლებლობა. იგი ეროვნული სიამაყის კანონიერი გრძნობით ქმნის კომუნისტური მშენებლობის ბრწყინვალე ისტორიას. საბჭოთა ადამიანებს ახალი საგმირო საქმეებისაკენ მოუწოდებს თავისი დიადი ისტორიული მისია. ჩვენმა ხალხმა ზღაპრული გმირობა გამოიჩინა ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგ ბრძოლის, ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნის და გარეშე და შინაური მტრებისაგან საბჭოთა სამშობლოს დაცვის საქმეში.

საბჭოთა პატრიოტიზმი ყველა ეროვნების ხალხებს ამჭიდროებს ძმურ ოჯახში. საბჭოთა პატრიოტიზმში ჰარმონიულად არის შეთავსებული სსრ კავშირის ხალხთა ეროვნული ტრადიციები და ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის საერთო სასიცოცხლო ინტერესები.

მუშები, კოლმეურნეები და საბჭოთა ინტელიგენცია განუწყვეტლივ იჩენენ ინიციატივასა და თაოსნობას, აჩაღებენ მასობრივ სოციალისტურ შეჯიბრებას, ყოველწლიურად მრავლდება სოციალისტური შრომის გმირების, ნოვატორთა, მეცნიერთა და გამომგონებელთა რიგები. ინერგება ასეულ ათასობით რაციონალიზატორული წინადადება.

კომუნისტური პარტიის დამაარსებელი გენიალური ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მასების ინიციატივას და თაოსნობას, მშრომელთა ფართო მონაწილეობას ქვეყნის მართვა-გამგეობასა და სამეურნეო ცხოვრებაში.

კომუნისტური პარტია ყოველთვის წარმართავს მასების შემოქმედებითს ენერგიას. პარტიის მაორგანიზებელმა ძალამ და მშრომელთა აქტივობამ ჩვენი ქვეყანა ჩამორჩენილი ქვეყნიდან გადააქცია მოწინავე, სოციალიზმის მძლავრ ქვეყნად, რომელიც მთელი მსოფლიოს ხალხებს უჩვენებს პროგრესული განვითარების მაგალითს.

საბჭოთა სახელმწიფოს და მშრომელი ხალხის დაუძინებელი მტრები, იმპერიალისტი მტაცებლები არაერთხელ შეეცადნენ მოესპოთ სოციალიზმის ქვეყანა, ჩაეხშოთ ხალხის ინიციატივა, მონებად ექცეათ ჩვენი ხალხი, რომელმაც ბრძოლით მოიპოვა თავისუფლება. მტრები იმედოვნებდნენ, რომ საბჭოთა წყობილება მტკიცე არ იქნებოდა. ჰიტლერული ავაზაკები, რომლებიც ამ 13 წლის წინათ ვერაგულად დაესხნენ თავს ჩვენს ქვეყანას და მის მოსპობას ლამობდნენ, იმედს იმაზე ამყარებდნენ, რომ ომის მსვლელობაში საბჭოთა კავშირის მუშებს, გლეხებსა და ინტელიგენციას შორის უთანხმოება ჩამოვარდებოდა, სხვადასხვა ერების ხალხთა შორის კონფლიქტი მოხდებოდა და საბჭოთა წყობილების დამსხვრევა გაუადვილდებოდათ. მაგრამ მტაცებლები სასტიკად მოტყუვდნენ. ომის მსვლელობამ მთელ მსოფლიოს დაანახვა, რომ ოქტომბრის რევოლუციის შედეგად შობილი სახალხო ხელისუფლება უძლეველია, საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება ურყევი, მტკიცე და სიცოცხლისუნარიანია.

ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა ომამდე თავიანთი პატრიოტული შრომით ააშენეს სოციალისტური საზოგადოება, ხოლო დიდი სამამულო ომის პერიოდში კომუნისტური პარტიის, ბრძენი ბელადისა და გენიალური მხედართმთავრის ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით მთელი საბჭოთა ხალხი აღსდგა სოციალისტური სამშობლოს, ხალხთა ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად. საბჭოთა ადამიანების პატრიოტულმა საქმეებმა — მათმა გმირობამ ფრონტზე და თავდადებულმა შრომამ ზურგში უზრუნველყო ჩვენი გამარჯვება დიდ სამამულო ომში.

სამამულო ომის მსვლელობაში კიდევ უფრო განმტკიცდა მუშათა და გლეხთა კავშირი, რომელიც ამჟამად შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების გზით მიდის. განმტკიცდა ყველა ეროვნების ხალხთა მეგობრობა, გამოიჭედა მათი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, განვითარდა ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმი.

დიდ სამამულო ომში გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ადამიანები კიდევ უფრო მჭიდროდ დაიჩაზმნენ პარტიის გარშემო და თავდადებული შრომით მოუშუშეს ქვეყანას ომით მიყენებული ჭრილობები, უზრუნველყვეს მთელი სახალხო მეურნეობის ახალი, მძლავრი აღმავლობა.

გმირი საბჭოთა ხალხი, კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების მიერ დასახული ისტორიული პროგრამით, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებით შეიარაღებული, ამჟამად უდიდეს მუშაობას ეწევა სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, კომუნისტური მშენებლობის შემდგომი წარმატებისათვის.

უდიდეს პატრიოტულ შრომას ეწევიან კოლმეურნეები, მექანიზატორები, საბჭოთა მეურნეობების მუშაკები. პარტიის მოწოდებით სოფლად სამუშაოდ წავიდა სპეციალისტთა მრავალრიცხოვანი კადრები. გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება საგაზაფხულო სამუშაოების მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის, მარცვლეული და ტექნიკური კულტურების განვითარებისათვის, მეცხოველეობის აღმავლობისათვის, ხალხთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობის საქმეში პარტიის მიერ დასახული ამოცანის წარმატებით განხორციელებისათვის. მაგრამ ამასთან მშრომელთა პატრიოტული მოვალეობაა არ დაკმაყოფილდნენ მოპოვებული წარმატებებით, კიდევ უფრო გააჩაღონ ჩვენს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა კრიტიკა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკა, რომელიც ჩვენი ხალხის მისწრაფებას გამოხატავს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს შეესაბამება. მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკი დღითიდღე ძლიერდება. სსრ კავშირის მეთაურობით იგი აძლიერებს ბრძოლას ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

საბჭოთა ხალხის პატრიოტული მოვალეობაა კვლავაც დაუცხრომლად იბრძოლოს მშვიდობისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

იალაღებზე გამგზავრების წინ დიდი მზადებაა სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოს კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმაში. წელს საქობოელმა მეცხვარეებმა სანიმუშოდ გამოაზამთრეს საზოგადოებრივი პირუტყვი. დოლის წარმატებით ჩატარებისა და ნამატის შენარჩუნებისათვის მეცხვარეობის ბრიგადებს შორის გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვა პირველმა ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი ფ. ნიკუაშვილი ხელმძღვანელობს. ფერმაში დოლი დამთავრდა. 1.900 დედაცხვრისაგან მიღებულია და შენარჩუნებული ამდენივე ბატკანი. **სურათზე:** პირველი ბრიგადის ბრიგადირი ფ. ნიკუაშვილი ცხვრის ფარასთან.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვება

ცხრა წლის წინათ ძლევამოსილად დამთავრდა დიდი სამამულო ომი, რომელსაც საბჭოთა ხალხი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ეწეოდა.

ამ ომში, რომელმაც პირველი დღეებიდანვე საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიიღო, საბჭოთა ხალხმა დაიცვა თავისი სოციალისტური სამშობლოს ღირსება და დამოუკიდებლობა, გაათავისუფლა ევროპის ხალხები ჰიტლერული ულლისაგან, იხსნა კაცობრიობა ფაშისტური მონობის საფრთხისაგან.

ჰიტლერელები, რომლებიც ვერაგულად დაესხნენ თავს ჩვენს სამშობლოს, მიზნად ისახავდნენ მოესპოთ საბჭოთა სახელმწიფო, ფიზიკურად გაეჟლიტათ საბჭოთა ადამიანები ან გადაექციათ ისინი ფაშისტური გერმანიის მონებად. ასეთსავე ბედს უმზადებდნენ ისინი სხვა ხალხებსაც, ცდილობნდენ რა დაემყარებინათ თავიანთი ბატონობა მსოფლიოში.

ჰიტლერული გერმანიის აგრესიულ პოლიტიკას ყოველნაირად აქეზებდნენ ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები. ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალისტურმა მონოპოლიებმა მილიარდობით დოლარი მოახმარეს ჰიტლერული სამხედრო მანქანის შექმნას. ამერიკელ-ინგლისელ იმპერიალისტებს განზრახული ჰქონდათ ფაშისტური გერმანიის დახმარებით გასწორებოდნენ საბჭოთა კავშირს ან ყოველ შემთხვევაში იმდენად დაესუსტებინათ იგი, რომ ომის შემდეგ ადვილად ჩაეგდოთ ხელში.

მაგრამ ჰიტლერელთა და მათ თანამზრახველთა ვარაუდმა — დაემსხვრიათ საბჭოთა სახელმწიფო — სრული მარცხი განიცადა.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება უწინარეს ყოვლისა საბჭოთა სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების გამარჯვებაა. ოქტომბრის რევოლუციით წარმოშობილმა სოციალისტურმა წყობილებამ ჩვენს ხალხსა და არმიას დიდი, უძლეველი ძალა მისცა.

ჩვენს ქვეყანას რომ ესხმოდნენ თავს, ჰიტლერელი მესვეურები იმედს ამყარებდნენ იმაზე, რომ თითქოს საბჭოთა წყობილება მტკიცე არ იყო, იმედს ამყარებდნენ მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის კონფლიქტებისა და უთანხმოების წარმოშობაზე. ომმა გააცამტვერა ჰიტლერელთა ეს ვარაუდები.

სოციალისტური სამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მსვლელობაში კიდევ უფრო გამოიწრთო საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ლენინურ-სტალინური შეგობრობა, ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმი. საბჭოთა ადამიანები, რომლებსაც სამამულო ომის სამართლიანი, განმათავისუფლებელი ხასიათი აღაფრთოვანებდა, უდიდეს შრომითს საგმირო საქმეებს ახორციელებდნენ ზურგში და უჭკნობ საგმირო საქმეებს — ფრონტზე.

კომუნისტური პარტიის, ბრძენი ბელადისა და გენიალური მხედართმთავრის ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა სამშობლოს დასაცავად აღსდგა ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხი დიდი რუსი ხალხის შეთაურობით. სამამულო ომმა განსაკუთრებით ცხადყო, რომ ხალხი ისტორიის ნამდვილი შემოქმედია, მთავარი და გადამწყვეტი ძალაა საზოგადოების მთელ ცხოვრებაში, აგრეთვე ომის ბედის გადაწყვეტაშიც.

ომის შედეგმა მთელი სიცხადით დაანახვა მსოფლიოს სოციალიზმის განუზომელი უპირატესობა კაპიტალიზმთან შედარებით. საბჭოთა სახელმწიფო ომიდან გამოვიდა კიდევ უფრო მტკიცე და მძლავრი.

დიდ სამამულო ომში გაიმარჯვეს საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა, რომლებიც შექმნილი არიან სოციალისტური სამშობლოს დასაცავად. ჩვენი არმია ახალი ტიპის არმიაა. იგი მხოლოდ ხალხს ემსახურება და მხოლოდ მის ინტერესებს იცავს. ეს არის ნამდვილი ხალხო არმია, ჩვენი ქვეყნის ერებს შორის ძმობის არმია, რომელიც ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით არის აღზრდილი. საბჭოთა ხალხს უყვარს თავისი არმია და თავდადებით უჭერს მას მხარს. ეს არის საბჭოთა შეიარაღებული ძალების ძლიერების წყარო.

ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომში საბჭოთა არმიის გამარჯვება — ეს არის გამარჯვება მოწინავე საბჭოთა სამხედრო მეცნიერებისა, რომელიც ვითარდება და მდიდრდება მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე, ემყარება ყველაზე პროგრესულ, სოციალისტურ წყობილებას.

დიდი სამამულო ომის ბრძოლის ველებზე საბჭოთა არმიამ დაამტკიცა, რომ იგი ჩვენი დროის პირველხარისხოვანი არმიაა, რომელსაც აქვს სავსებით თანამედროვე შეიარაღება, ჰყავს უაღრესად გამოცდილი მეთაურთა შემადგენლობა და აქვს უბადლო მორალურ-საბრძოლო თვისებანი. მოსკოვთან და ლენინგრადთან, ოდესასთან, სევასტოპოლთან და სტალინგრადთან, კურსკის რკალზე, ვისლასა და ოდერზე, ბუდაპეშტთან და ვენასთან ბრძოლებში, ბერლინთან უდიდეს ბრძოლაში ჩვენმა მეომრებმა უჭკნობი დიდება მოიხვეჭეს.

თანამედროვე სამხედრო ტექნიკით აღჭურვილი მრავალმილიონიანი ჰიტლერელთა არმია, რომელსაც დიდი საბრძოლო გამოცდილება ჰქონდა და

ნ. ბრიტჩინი
გენერალ-ლეიტენანტი

რომელიც ევროპასა და ამერიკაში ბევრს ყველაზე ძლიერ არმიად მიაჩნდა, მთლიანად გაანადგურა საბჭოთა არმიამ.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა იმპერიალისტური იაპონიაც აიძულეს კაპიტულაცია მოეხდინა. იაპონიის აგრესიის ლიკვიდაციაში უდიდესი როლი შეასრულა დიდმა ჩინელმა ხალხმა და მისმა სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ.

გერმანიის ფაშიზმსა და იაპონიის იმპერიალიზმზე საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების გამარჯვების უმნიშვნელოვანესი პირობა იყო ბრძნული ხელმძღვანელობა კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტისა ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

ომისწინა წლებში კომუნისტურმა პარტიამ ყოველმხრივ მოამზადა ჩვენი ქვეყანა აქტიური თავდაცვისათვის. პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა განახორციელა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ლენინურ-სტალინური პოლიტიკა, გადააქცია ჩვენი სამშობლო მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომელსაც აქვს ყველაფერი, რაც აუცილებელია ომის მატერიალურ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

დიდი სამამულო ომის წლებში კომუნისტურმა პარტიამ საბჭოთა ადამიანები შეაკავშირა ერთიან საბრძოლო ბანაკად და მთელი მათი ღონისძიებანი წარმართა ერთი მიზნისაკენ — მტერზე გამარჯვების მიღწევისაკენ. პარტიამ და მთავრობამ შექმნეს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ დანიშნულ იქნა ი. ბ. სტალინი, მის მოადგილედ — ვ. მ. მოლოტოვი და წევრებად — გ. მ. მალენკოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. მიკოიანი, ლ. მ. კაგანოვიჩი. პარტიამ სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში ხელმძღვანელ სამუშაოზე გაგზავნა გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები — ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ბულგანინი, ა. ა. ჟდანოვი, ა. ს. შჩერბაკოვი და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბევრი სხვა წევრი.

პარტიამ მილიონნახევარზე მეტი კომუნისტი გაგზავნა მოქმედი არმიის რიგებში. ფრონტზე და ზურგში, პარტიზანულ რაზმებში — ყველგან პარტია გამოდიოდა როგორც ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის, ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ორგანიზატორი, ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი. ომის დღეებში კომუნისტური პარტია კიდევ უფრო შეესისხლხორცა საბჭოთა ხალხს.

სამამულო ომში საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიულმა გამარჯვებამ სოციალისტურ და კაპიტალისტურ სისტემებს შორის ძალთა თანაფარდობა ძირეულად შეცვალა სოციალიზმის სასარგებლოდ, გამოიწვია სოციალიზმისა და დემოკრატიის ძლავრი ბანაკის შექმნა. გერმანიის ფაშიზმის განადგურების შედეგად პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთისა და აღმოსავლეთის ხალხებმა თავიანთ ქვეყნებში შექმნეს სახალხო-დემოკრატიული წყობილება, საბოლოოდ დაადგნენ სოციალიზმის გზას. ფაშიზმზე საბჭოთა არმიის გამარჯვებამ მძლავრი სახალხო ძალები გააღვიძა თვით გერმანიაშიც. წარმატებით ვითარდება და მტკიცდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — სუვერენული სახელმწიფო, მთელი გერმანელი მშრომელი ხალხის დასაყრდენი ერთიანი, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული გერმანიის შექმნისათვის ბრძოლაში.

დიდმა ჩინელმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სამუდამოდ მოიშორა იმპერიალისტური მონობის ბორკილი და ახლა წარმატებით აშენებს თავისუფალ, სოციალისტურ ცხოვრებას. იმპერიალისტური იაპონიის განადგურებას შედეგად მოჰყვა აგრეთვე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა.

დიდ სამამულო ომში მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების მეცხრე წლისთავს საბჭოთა ხალხი ხვდება მჭიდროდ დარაზმული თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, რომელსაც მაღლა უჭირავს ლენინ-სტალინის უძლეველი დროშა.

პარტიის XIX ყრილობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებებითა და პარტიისა და მთავრობის სხვა გადაწყვეტილებებით შეიარაღებული საბჭოთა ხალხი მტკიცე რწმენით მიდის წინ, კომუნიზმის გზით. ჩვენმა ქვეყანამ მოიშუშა ომით მიყენებული ღრმა ჭრილობები, ახალი შესანიშნავი წარმატებები მოიპოვა შემოქმედებითს შრომაში. ახლა მსოფლიოში ყველაზე მტკიცე საბჭოთა სახელმწიფოა ჩვენი სამშობლო — დიდი საბჭოთა კავშირი, ყველა ქვეყნის მშრომელთა სოციალისტური სამშობლო.

1953 წელს სსრ კავშირში სამრეწველო წარმოების მოცულობამ ორნახევარჯერ გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის დონეს. ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მოწინავე საწარმოთა თაოსნობით ჩვენს ქვეყანაში ჩაღდება საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება 1954 წლის სახელმწიფო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

სერიოზულ წარმატებებს მიაღწია სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამაც. პარტია და მთავრობა აწყობენ სოფლის მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას, მსუბუქი და კვების მრეწველობის დაჩქარებულ განვითარებას, რათა ორი-სამი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად ამაღლდეს მოსახლეობის უზრუნველყოფა სასურსათო და სამრეწველო საქონლით.

საბჭოთა ეკონომიკის საერთო ზრდის საფუძველზე განუხრელად მაღლდება მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე. 1953 წელს სსრ კავშირის ნაციონალურმა შემოსავალმა ერთიორად და უფრო მეტად გადააჭარბა ომამდელ დონეს. მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების ამას წინათ განხორციელებული, ომის შემდეგ მეშვიდე, შემცირება იმის ახალი დადასტურებაა, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ ხალხის კეთილდღეობისათვის, მისი მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილებისათვის.

საბჭოთა ადამიანები ღრმა კმაყოფილების გრძნობით შეხვდნენ კანონებს, რომლებიც სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ მიიღო. სსრ კავშირის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მკაფიოდ გვიჩვენებს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების განუხრელ ზრდას, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უდიდეს ზრუნვას სამშობლოს აყვავებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის. ჩვენი ბიუჯეტი მშვიდობიანი მშენებლობის ბიუჯეტია. იგი დამაჯერებლად მოწმობს საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარეობას.

საბჭოთა კავშირი ისწრაფვის განამტკიცოს მშვიდობიანი ურთიერთობა ყველა სახელმწიფოსთან, დაუცხრომლად იბრძვის მშვიდობისათვის, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ. საბჭოთა მთავრობის თანმიმდევრული მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ასეულ მილიონობით უბრალო ადამიანის მხურვალე მხარდაჭერით სარგებლობს.

ხალხთა ჯალათები და თავისუფლების დამხრჩობნი, მსოფლიო ბატონობის ახალმოვლენილი პრეტენდენტები, ამერიკელი იმპერიალისტები გაძლიერებით ამზადებენ ახალ ომს. ისინი ეწევიან გამალებულ შეიარაღებას, ქმნიან აგრესიულ ბლოკებს, აშენებენ სამხედრო ბაზებს სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების გარშემო, ეძებენ დაქირავებულ აგენტებს თავიანთი ახალი სისხლიანი ავანტიურებისათვის.

მაგრამ ომის გამჩაღებელთა ეს დანაშაულებრივი გეგმები ჩასაფუშავად არის განწირული. დღითიდღე იზრდებიან და მტკიცდებიან ძალები მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკისა, რომელსაც სათავეში საბჭოთა კავშირი უდგას. მშვიდობის, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში უფრო მჭიდროდ ერთიანდებიან ყველა ქვეყნის ხალხები. ხალხები თავიანთ ხელში იღებენ მშვიდობის დაცვის საქმეს და ბოლომდე დაიცავენ მას.

საბჭოთა ადამიანები, რომლებიც მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევიან, ფხიზლად ადევნებენ თვალყურს ახალი ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა ხრიკებს, განამტკიცებენ საბჭოთა სახელმწიფოს, მის შეიარაღებულ ძალებს.

ჩვენი ქვეყნის მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე ფხიზლად დგანან მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა დიდებით მოსილნი საბჭოთა არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი. საბჭოთა მეომრები მტკიცედ ეუფლებიან წარსული ომის გამოცდილებას, ბეჯითად სწავლობენ, განუწყვეტლივ სრულყოფენ თავიანთ სამხედრო და პოლიტიკურ ცოდნას, ეუფლებიან თანამედროვე იარაღსა და საბრძოლო ტექნიკას.

საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს აქვთ და კვლავაც ექნებათ ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ შეასრულონ თავიანთი კეთილშობილური მისია — იდგნენ სამშობლოს დაცვის სადარაჯოზე და მუდამ მზად იყონ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცენ აგრესორს, რომელიც შეეცდება დაარღვიოს ჩვენი ქვეყნის ხალხთა მშვიდობიანი შრომა. თუ კი აგრესიული წრეები ატომური იარაღის იმედით გაბედავენ უგუნური ნაბიჯის გადადგმას და მოისურვებენ საბჭოთა კავშირის ძალისა და ძლიერების გამოცდას, შეიძლება ექვი არ ვიქონიოთ, რომ აგრესორი დათრგუნვილ იქნება იმავე იარაღით და რომ ასეთი ავანტიურა გარდუვალად გამოიწვევს მთელი კაპიტალისტური სისტემის დაშლას.

ჩვენი ქვეყანა დღითიდღე სულ უფრო მდიდარი და ძლიერი ხდება. საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცე რწმენით მიდის წინ, კომუნიზმის მშენებლობაში ახალი გამარჯვებებისაკენ.

კარტიული ცხოვრება

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისადმი მიძღვნილი პარტიული კრება

სტალინირი. (საკ. კორ.). ამ დღეებში საქართველოს საბჭოთა მწერლების, კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების პირველადი პარტორგანიზაციის კრებამ მოისმინა მწერალ ფ. გაგლოევის მოხსენება რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის შესახებ.

როგორც მომხსენებელმა, ისე სიტყვებით გამოსულმა მწერლებმა რ. ასათიანმა, გ. ძუგაევმა, ი. ცხოვრებოვმა და სხვებმა აღნიშნეს ამ ისტორიული თარიღის უდიდესი მნიშვნელობა სსრ კავშირის ხალხთა შორის მეგობრობის შემდგომი განმტკიცების, მოძმე რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის ახალი აღმავლობისა და გაფურჩქვნის საქმეში. დიდი სახალხო დღესასწაულის აღსანიშნავად კრებამ დასახა ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებას ოსი მწერლები პრაქტიკულად შეუდგნენ.

მწერლებმა ოსურ ენაზე თარგმნეს და უკვე გამოიცა უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსის ტ. შევჩენკოს რჩეულ ნაწარმოებთა კრებული. მოკლე ხანში გამოიცემა ოსურ ენაზე თარგმნილი უკრაინელი საბჭოთა მწერლების ნაწარმოებთა ანთოლოგია.

მწერალთა კავშირის განყოფილების გამგეობა რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავთან დაკავშირებით კოლმეურნეობებში აწყობს ლექციებსა და საუბრებს. ამ დღეებში ჯავის რაიონულ ცენტრში მოეწყო საღამო, რომელიც მიეძღვნა ამ ისტორიულ თარიღს. ჯაველ კოლმეურნეებს მწერლებმა გააცნეს ოსურ ენაზე თარგმნილი უკრაინული ლიტერატურის ნაწარმოებნი, მოუთხრეს იმ თვალსაჩინო წარმატებებზე, რომლებსაც საბჭოთა უკრაინამ დიდი რუსი ხალხის დახმარებით მიაღწია.

საამქროთა პარტორგანიზაციების მდივნების სემინარი

ქუთაისი. (საკ. კორ). საქართველოს კ. პ. ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა საავტომობილო ქარხანაში მოაწყო საამქროთა პარტორგანიზაციების მდივნების სემინარი, რომელიც ორ დღეს მიმდინარეობდა.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებანი: „როგორ მოვამზადოთ და ჩავატაროთ პარტიული კრება“, „სკკპ რიგებში მიღება და ახალმიღებულებთან მუშაობა“, „დადგენილებათა შესრულების შემოწმება“ და სხვ.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდა საამქროთა 26 პარტორგანიზაციის მდივანი.

ერთი წრის მეცადინეობაზე

სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ პირველადს პარტიულ ორგანიზაციასთან მეორე წელია მუშაობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრე. სწავლა ორგანიზებულად მიმდინარეობს. მეცადინეობას უმიზეზოდ არავინ არ აცდენს.

როცა წრეში მიმდინარეობდა მეცადინეობა თემაზე: „კომუნისტური პარტია სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის ბრძოლაში“, კოლმეურნე კომუნისტებმა პოლიტიკური სწავლებისადმი კიდევ უფრო მეტი ინტერესი და სიყვარული გამოავლინეს.

...მეცადინეობა დაიწყო. წრის პროპაგანდისტი, სოფლის მასწავლებელი ვლადიმერ სუხიტაშვილი აყენებს კითხვას: „როგორ მოაწყო პარტიამ ბრძოლა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის რეკონსტრუქციისათვის ახალი, თანამედროვე ტექნიკის ბაზაზე?“.

სიტყვას იღებს ვეტფერშალი ბაგრატ ადუაშვილი. იგი აღნიშნავს, რომ ამ პერიოდში პარტიამ ძირითად ამოცანად დაისახა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის რეკონსტრუქცია ახალი, თანამედროვე ტექნიკის ბაზაზე, რადგან უამისოდ შეუძლებელი იყო ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის უზრუნველყოფა.

სიტყვას ითხოვს აგრონომ-ქიმიკოსი ეკატერინე ბაზანდარაშვილი.

— ამხ. ბ. ადუაშვილმა, — ამბობს ის, — ილაპარაკა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის რეკონსტრუქციის პერიოდზე, მაგრამ არაფერი თქვა იმ დაბრკოლებებზე, რომლებიც წარმოიშვა სამეურნეო მუშაკების არასწორი დამოკიდებულებით ტექნიკისადმი. საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ პარტიამ, ბოლო მოუღო რა კომუნისტ სამეურნეო მუშაკთა მხრივ ტექნიკისადმი უყურადღებო დამოკიდებულებას, დაიწყო თვით კომუნისტთა ძალებით ტექნიკის დაუფლებისათვის ბრძოლის ახალი ხანა.

ამის შემდეგ აზრი გამოთქვა კიდევ ერთმა ამხანაგმა. პროპაგანდისტი აკეთებს თავის შენიშვნებსა და დამატებებს, ხაზს უსვამს ჩვენს ქვეყანაში საწარმოო ძალთა მდგომარეობისა და წარმოებით ურთიერთობათა სრულ შესაბამისობას.

ასე თანდათან იშლება საუბარი. ცოცხალი საუბარი ამაღლებს მსმენელების შემოქმედებით აქტივობას. ეს აქტივობა განსაკუთრებით იგრძნობოდა საკითხის „საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომი ზრდა და პარტიის ბრძოლა კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის“ განხილვისას.

კოლმეურნე ნიკოლოზ ვაზეგაშვილი იგონებს პირველი კოლმეურნეობის ჩამოყალიბებას სოფელში, პირველ ნაბიჯებს ახალ გზაზე. ლაპარაკობს იმაზე, თუ პარტიისა და მთავრობის დახმარებით როგორ განმტკიცდა მშობლიური კოლმეურნეობა ორგანიზაციულ-მეურნეობრივად. ახლა გორის რაიონის სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ პარტორგანიზაციამ მომოსავალმა 7 მილიონ მანეთს დადასმეტა.

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე არტემ მურადაშვილი ლაპარაკობს 1931 წელს საკოლმეურნეო მოძრაობის ახალი ზრდის შესახებ. 1934 წლის დამლევისათვის კოლმეურნეობები, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მათთვის გაწეული დახმარების მეოხებით, უძლეველ ძალად გადაიქცნენ.

— ამხ. ა. მურადაშვილს, — აღნიშნავს ავტომძღოლი რევაზ გურგენაშვილი, — გამორჩა ეთქვა იმ მუშაობაზე, რასაც პარტია ეწეოდა საკოლმეურნეო მშენებლობაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, კერძოდ იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბრძოლას კულაკური და მავნებლური ელემენტების წინააღმდეგ.

— აქვე უნდა ითქვას, — დაამატა ბუხჰალტერმა ლევან ჩუხრუკიძემ, — რომ კოლექტივიზაციის წარმატებათა შედეგად კიდევ უფრო განმტკიცდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, ძიღწეულ იქნა სოფლის მეურნეობის უდიდესი აღმავლობა.

— სწორია! — ჩაერია საუბარში პროპაგანდისტი, — კიდევ ვის სურს გამოთქვას აზრი?

სიტყვას თხოულობს კოლმეურნე მაყვალა გოგიაშვილი.

— ახლანდელ ეტაპზე, — ლაპარაკობს იგი, — მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ძმური კავშირის შემდგომი განმტკიცების მძლავრ საშუალებას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილება. ამ დადგენილების შემდეგ კოლმეურნეობებში მუშაობა ახლებურად მოეწყო.

წრის მსმენელებმა საქმიანად იმსჯელეს აგრეთვე საკითხებზე: „პირველი ხუთწლედის შედეგები და მათი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა“, „პარტიის XVII ყრილობა — გამარჯვებულთა ყრილობა“.

ასევე კარგად მოეწყო ამ წრის მეცადინეობა თემაზე: „კომუნისტური პარტია სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისათვის ბრძოლაში და ახალი კონსტიტუციის გატარება“.

მაგრამ წრე უნაკლოდ როდი მუშაობს. მის მეცადინეობაზე ზოგჯერ საკითხებს დაბალ იდეურ დონეზე განიხილავენ, მსმენელთა ერთი ნაწილი არ მონაწილეობს ამ განხილვაში. ზოგიერთი მსმენელი ვერ ახერხებს უკონსპექტოდ თავისუფალ მსჯელობას. საჭიროა წრის პროპაგანდისტმა გაითვალისწინოს ეს ნაკლოვანებანი და იზრუნოს მათი გამოსწორებისათვის.

აღსანიშნავია, რომ წრეში მიღებულ თეორიულ ცოდნას კოლმეურნე კომუნისტები კარგად იყენებენ პრაქტიკულ მუშაობაში და ამით წინ სწევენ საკოლმეურნეო საქმეს. კოლმეურნეობა „გამარჯვება“ ერთ-ერთი მოწინავეა გორის რაიონში.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

პროპაგანდისტებს — შემოქმედებითი დახმარება

კომუნისტური პარტია მუდამ ყურადღების ცენტრში აყენებდა და აყენებს კომუნისტების, კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების საქმეს. მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლა გვეხმარება კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში, გვიმაღლებს რევოლუციურ სიფხიზლეს, გვაიარაღებს საზოგადოებრივი განვითარების კანონების ცოდნით.

სკკპ XIX ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებებით დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელების უმნიშვნელოვანესი პირობაა მასების შეიარაღება მარქსისტულ-ლენინური თეორიით. ამ საქმეში წარმატებათა მოპოვება კი დიდად არის დამოკიდებული პროპაგანდისტების მუშაობაზე. პროპაგანდისტი ცენტრალური ფიგურაა პარტიული განათლების სისტემაში. მისი თეორიული დონე და მეთოდური დახელოვნება, საქმის სიყვარული და მონდომება განსაზღვრავს პოლიტსკოლასა თუ წრეში მეცადინეობის ჩატარების, მსმენელთა მიერ პროგრამით გათვალისწინებული მასალების შეთვისების ხარისხს. ითვალისწინებს რა ყოველივე ამას, პარტიის სოხუმის რაიკომი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პროპაგანდისტულ კადრებთან მუშაობას, მათი მომზადების დონის ამაღლებას.

პროპაგანდისტთა თეორიული დონის ამაღლებისა და მეთოდური დახელოვნებისათვის რაიკომთან შექმნილია პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი სემინარები. ისინი მუშაობას შეუდგნენ პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის დაწყებამდე ერთი თვით ადრე. სემინარების პირველ მეცადინეობაზევე განხილულ იქნა როგორც მეთოდური, ისე თეორიული საკითხები. ამან პროპაგანდისტებს საშუალება მისცა წრეებსა და პოლიტსკოლებში სასწავლო წლის დასაწყისიდანვე მეცადინეობა წარემართათ ცოცხლად და მაღალ იდეურ დონეზე. მას შემდეგ სემინარების მეცადინეობა მუდამ ორგანიზებულად ეწყობა და პროპაგანდისტებს საჭირო მეთოდურ და თეორიულ დახმარებას უწევს.

პარტიის რაიკომში საჭიროების მიხედვით იმართება პროპაგანდისტთა თათბირი, რომელზეც განიხილავენ პარტიული სწავლების მეთოდურ და ორგანიზაციულ საკითხებს, ეცნობიან და განაზოგადებენ მოწინავე პროპაგანდისტთა მუშაობის გამოცდილებას. პროპაგანდისტებს დიდად ეხმარება აგრეთვე ის, რომ პოლიტსკოლებისა და წრეების მეცადინეობას ხშირად ეს წრეებიან პროპაგანდისტთა სემინარების ხელმძღვანელები და რაიკომის მუშაკები, რომლებიც შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად პროპაგანდისტებს ადგილზევე აძლევენ საჭირო რჩევა-დარიგებას.

პროპაგანდისტების დასახმარებლად ნაყოფიერად მუშაობს პარტიული ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკაში პროპაგანდისტებისათვის სისტემატურად იმართება ლექციები და მოხსენებები. აქვე ეწყობა პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურის გაცვლა-გადაცემა პოლიტსკოლებსა და წრეებში შესასწავლი მასალების გარშემო.

პროპაგანდისტებისათვის ქმედითი კონტროლისა და დახმარების გაწევამ უზრუნველყო კომუნისტების პოლიტიკური სწავლების გაუმჯობესება. შემოწმებამ გვიჩვენა, რომ რაიონის მთელ რიგ პირველადს პარტორგანიზაციებთან ნაყოფიერად მუშაობენ პოლიტსკოლები, წრეები და თეორიული სემინარები. მათ შორის აღსანიშნავია სოფელ ბესლეთის აკაკი წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის პირველადს პარტორგანიზაციასთან არსებული სკკპ ისტორიის შემსწავლელი ძირითადი ტიპის წრე. ამ წრის პროპაგანდისტია ა. შელია. იგი მეცადინეობისათვის წინასწარ გულმოდგინედ ემზადება, გადასაცემ მასალას უნარიანად უკავშირებს კოლმეურნეობის წინაშე მდგომ ამოცანებს. მეცადინეობაზე, რომელიც პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შესწავლას მიეძღვნა, პროპაგანდისტმა ბევრი მაგალითი მოიყვანა ადგილობრივი ცხოვრებიდან. პროპაგანდისტი დიფერენცირებულად უდგება მსმენელებს და გადასაცემ მასალას ადგილობრივ კონკრეტულ ფაქტებს უკავშირებს. ეს საუბარს ცოცხალს, საინტერესოს, ხოლო შესასწავლ მასალას ადვილად გასაგებს ხდის. ამიტომაც არის, რომ მსმენელთა უმრავლესობას არ უძნელდება პროგრამით გათვალისწინებული მასალის შესწავლა.

ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ პარტიული განათლების ქსელში წარმატების მოპოვება, პოლიტიკური ცოდნისადმი მსმენელთა ინტერესის გაძლიერება ძირითადად დამოკიდებულია თვით პროპაგანდისტზე, მის უნარზე. თუ პროპაგანდისტი მეცადინეობას მართავს დაბალ იდეურ დონეზე, მშრალად, არასაინტერესოდ, მაშინ, ცხადია, მსმენელებს არა მარტო მასალის ათვისება გაუძნელდებათ, არამედ მეცადინეობაზე დასწრების ხალისიც დაეკარგებათ.

**ბუნებრივია, რომ იქ, სადაც პროპაგანდისტი მეცადინეობას უპასუხისმგებლოდ ეკიდება, მსმენელები მეცადინეობაზე იგვიანებენ ან აცდენენ, ვერ ერკვევიან გავლილ მასალაში. ასე ხდება, მაგალითად, სოფელ ეშერის ჯანაშიას სახელობის კოლმეურნეობის პირველადს პარტორგანიზაციასთან არსებულ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელი ძირითადი ტიპის წრეში. პროპაგანდისტი გ. ტულუმჯიანი წინასწარ გულდასმით არ ემზადება, მეცადინეობისას არ იყენებს თვალსაჩინოებას, გადასაცემ მასალას არ უკავშირებს ცხოვრებას, ადგილობრივ ფაქტებს. ამის გამო მისი საუბარი მოსაწყენი და გაუ

თესვის პროგრესულ მეთოდებს უგულებელყოფენ

ზოგიერთი ნოვატორი თავიდანვე მთელი სერიოზულობით მოეკიდა თესვის პროგრესული წესების პრაქტიკულად დანერგვას. მაგალითად, სტალინირის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ტრაქტორისტი ალ. ბიწენოვი სოფელ ტბეთის პუშკინის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებზე აგროტექნიკურ მოთხოვნათა დაცვით სთესავს სიმინდს კვადრატულ-ბუდობრივი წესით; ასევე ითქმის ზოგიერთ სხვა მექანიზატორზე. მაგრამ საერთოდ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის არც ერთ რაიონში სიმინდისა და კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივი თესვის დავალებანი არ სრულდება. ბევრი კოლმეურნეობა იმეორებს გასული წლის შეცდომებს, შეუწყნარებლად ეკიდება თესვის პროგრესული წესების გამოყენებას საგაზაფხულო სამუშაოების პერიოდში.

ზნაურის რაიონმა წელს კვადრატულ-ბუდობრივად უნდა დათესოს 580 ჰექტარი სიმინდი. მაგრამ იმის გაჭო, რომ რაიონის პარტიულმა, საბჭოთა ორგანიზაციებმა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა დროულად არ იზრუნეს ამ მნიშვნელოვანი საქმის ორგანიზებულად მოწყობისათვის, ახლა სამარცხვინოდ ჩამორჩებიან. ეს იმ დროს, როცა კვადრატულ-ბუდობრივი თესვისათვის განკუთვნილი მანქანები თვეების განმავლობაში უქმად ეწყო სოფლმომარაგების სტალინირის საწყობში. ასეთი მდგომარეობა ამჟამადაც გრძელდება. უფრო მეტი. უკანასკნელ დღეებში სოფლმომარაგების სტალინირის საწყობმა სტალინირისა და ზნაურის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისათვის მიიღო კვადრატულ-ბუდობრივი წესით სათესი ორი მანქანა, მაგრამ ისინი დღემდე საწყობიდან არ გაუტანიათ. ზნაურის მტს-ის ხელმძღვანელი ძუშაკები, მათ შორის მთავარი აგრონომი ვ. ქადაგიშვილი, შეუწყნარებელ უდარდელობას იჩენენ.

ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც ქსუისის მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებშია. ქსუისელ მექანიზატორებს 1 მაისისათვის 300 ჰექტარის ნაცვლად, რაც მათ გეგმით უნდა დათესონ, დათესილი ჰქონდათ მხოლოდ 38 ჰექტარი. სტალინირის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივად დათესილი იყო 65 ჰექტარზე, გეგმა კი 470 ჰექტარს ითვალისწინებს. დაგვიანებით შეუდგნენ სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვას სოფელ ხეთაგუროვის კოლმეურნეობაში.

ასეთივე მდგომარეობაა ლენინგორის რაიონშიც, სადაც 1 მაისისათვის ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 150 ჰექტარისა, კვადრატულ-ბუდობრივად დათესილი იყო მხოლოდ 20 ჰექტარი. ამ საქმეს აფერხებს სათესების მთელი დატვირთვით გამოუყენებლობა. ოლქის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს ამჟამად სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი წესით სათესი 12 მანქანა გააჩნიათ, აქედან ოთხი სათესი სათანადო ნაწილების უქონლობის გამო გაჩერებულია, დანარჩენი მანქანები კი ნაყოფიერად ვერ მუშაობენ იმისათვის, რომ მტს-ებს ამ საქმისათვის საკმაოდ მომზადებული კადრები არა ჰყავთ.

მხოლოდ თესვის პროგრესული მეთოდების შეუფასებლობით უნდა აიხსნას, რომ ოლქში 1 მაისისათვის 1.500 ჰექტარის ნაცვლად სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივად დათესილი იყო მხოლოდ 123 ჰექტარზე.

ნელი ტემპით მიმდინარეობს აგრეთვე კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივი თესვაც. ლენინგორის რაიონში გეგმიური დავალების 70 ჰექტარის ნაცვლად კარტოფილი კვადრატულ-ბუდობრივად დათესილია მხოლოდ 2,5 ჰექტარზე, ხოლო ზნაურის რაიონში ამ საქმეს ჯერაც არ შესდგომიან. ლენინგორის რაიონის სოფელ ძუკათიყაუს კოლმეურნეობაში კარტოფილი დათესეს ნიადაგის წინასწარი მომზადებისა და მარკირების გარეშე, ამის გამო სწორ კვადრატებს ვერ მივიღებთ და მუშასადამე, ნათესის მექანიზებული დამუშავებაც შეუძლებელი შეიქნება.

პროგრესული მეთოდით თესვის საქმეში ასეთი სამარცხვინო ჩამორჩენა იმით აიხსნება, რომ ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა დროულად არ იზრუნეს მთესველთა სათანადო კადრების მოსამზადებლად, სათესი მანქანებით დროულად უზრუნველყოფისა და მათი წესრიგში მოყვანისათვის.

პარტიის რაიკომებმა, რაისაბჭოების აღმასკომებმა, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველომ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ, რათა სათოხნი კულტურების კვადრატულ-ბუდობრივ თესვაში არსებული ჩამორჩენა სასწრაფოდ გამოასწორონ. საჭიროა მკაცრი კონტროლი დავაწესოთ იმაზე, რომ სრული დატვირთვით გამოვიყენოთ თვითეული სათესი აგრეგატი, მივაღწიოთ პროგრესული მეთოდით თესვის დავალების სწრაფად და მაღალხარისხოვნად შესრულებას.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ჩაის ფოთლის კრეფა

საქართველოს სუბტროპიკული რაიონების უმრავლესობამ დაიწყო ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფა. ქობულეთის რაიონის მეჩაიეებმა 6 მაისისათვის მოკრიფეს 93,8 ტონა ჩაის ფოთოლი, მახარაძის რაიონმა მოკრიფა 49,2 ტონა, ბათუმის — 46,8, წულუკიძის — 16,2, ზუგდიდის — 11,4, ოჩამჩირის — 5,3, გალის — 4,6, ცხაკაიას — 4,2, ჩხოროწყუს — 2,9, წყალტუბოს რაიონმა — 2 ტონა.

6 მაისისათვის რესპუბლიკაში მოკრეფილია 239,5 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

გორჯომის რაიონში

ახალი სანატორიუმი

სამკურნალო კომისიის ლიკანის დასასვენებელი სახლის ბაზაზე გაიხსნა ახალი სანატორიუმი, რომლის თვალწარმტაცი ტერიტორია რამდენიმე ათეულ ჰექტარზეა გადაჭიმული. სანატორიუმისათვის შეძენილია ფიზიოთერაპიული კაბინეტის და ელექტროკარდიოგრაფიის აპარატურა, მაგარი და რბილი ინვენტარი. განზრახულია მოეწყოს მინერალური წყლის აბაზანები, სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტი და ბიოქიმიური ლაბორატორია. სანატორიუმთან შეიქმნა მეძროხეობა-მეღორეობის ფერმა და თევზსაჭერი. გათვალისწინებულია მოეწყოს მეფრინველეობის ფერმა 500 კვერცხმდებელი ჯიშიანი ქათმისათვის. სანატორიუმის ტერიტორიაზე დასარგავად სათბურში გამოყვანილია დიდძალი დეკორაციული მცენარე და ბოსტნეულის ჩითილი.

გიოკლიმატური სადგური

მიკროკლიმატისა და მზის სხივებით მკურნალობის შესწავლისათვის ლიბანის სანატორიუმთან მოეწყო ბიოკლიმატური სადგური. ქობულეთის შემდეგ ეს მეორე ასეთი სადგურია საქართველოს კურორტებზე. დაკვირვებებმა ცხადყო, რომ მზიანი დღეებისა და ულტრაიისფერი სხივების რაოდენობა ბორჯომის კურორტებიდან ყველაზე მეტია ლიბანში, რაც მზით მკურნალობის ფართო პერსპექტივებს შლის.

ახალმშენებლობებზე

წელს მთავრდება ბორჯომის მინერალური წყლის ჩამომსხმელი ახალი ქარხნის მშენებლობა. მშენებლობაზე დაიხარჯება 14 მილიონი მანეთი, უკვე ათვისებულია 11 მილიონი მანეთი. მესამე კვარტალში ქარხნის საამქროებში დაიდგმება 6,5 მილიონი მანეთის მოწყობილობა. ახალი ქარხნის ამუშავების შემდეგ ორჯერ გაიზრდება სამკურნალო წყლის სასაქონლო პროდუქცია, იგი მიაღწევს 75 მილიონ ლიტრს წელიწადში.

შენდება ცემის სკოლა-სანატორიუმი, მშენებლობისათვის გამოყოფილია 1.400 ათასი მანეთი. რკინიგზის ობიექტების მშენებლობასა და კეთილმოწყობაზე დაიხარჯება 1.200 ათასი მანეთი. წაღვერში დამთავრდა კაფე-პავილიონის აგება. შენდება რამადანიის, კაფე-სასაუზმის შენობები. მალე დამთავრდება 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ბორჯომში.

ტაბაწყურის ტბაზე

თრიალეთის ქედის პატარძალს ეძახიან ტაბაწყურის ტბას, რომელიც განთქმულია ძვირფასი თევზით — კალმახით და კობრით. აქ მუშაობს თევზის ქარხანა, რომელმაც გასული წლის თევზჭერის გეგმა 105 პროცენტით შეასრულა. წელს პირველ კვარტალში მომდინარეობდა მოსაშენებელი თევზის ჭერა. ქვირითიდან ხელოვნურად გამოჩეკილი 210 ათასზე მეტი კალმახის და კობრის ლიფსიტა უკვე გაშვებულია ტბაში მოსაშენებლად.

მეტალურგთა დასახმარებლად

შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა სამეცნიერო-საკვლევმა და სანიტარულმა ინსტიტუტებმა ქ. რუსთავის სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში მოაწყეს სამეცნიერო სესია, რომელზეც სანიტარული მდგომარეობის, შრომის პირობებისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების შესახებ მოხსენებები წაიკითხეს რესპუბლიკის დამსახურებულმა ექიმმა ი. ფრანგულიანმა, რუსთავის სახსანინსპექტორმა ი. დავარაშვილმა, მეცნიერმა მუშაკებმა მ. ყურაშვილმა, ი. შენგელიამ, ა. დარასელიამ, ექიმმა მ. ციმბალოვამ, ასისტენტმა თ. ჩიხლაძემ. სესიის მუშაობა შეაჯამა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა გ. ფიცხელაურმა.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ქ. რუსთავის მედიცინის მუშაკებმა და ქარხნის ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა.

სესიამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მეტალურგთა შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

უკრაინული ოპერა ქართულ სცენაზე

ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ჩაეყარა საფუძველი ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობას, რომელიც ჩვენს ეპოქაში, ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად უმაგალითოდ აყვავდა და განმტკიცდა. დავით გურამიშვილისა და ლესია უკრაინკას, აკაკი წერეთლისა და ტარას შევჩენკოს, ილია ჭავჭავაძისა და ივანე ფრანკოს, „ვეფხვის ტყაოსნის“ ბრწყინვალე მთარგმნელის მიკოლა ბაჟანის, მაქსიმ რილსკის, პავლო ტიჩინას და სხვათა ნაწარმოებნი თანაბრად ამშვენებენ ქართველი და უკრაინელი ხალხების კულტურის საგანძურს, მშრომელთა ნამდვილი საკუთრება გახდნენ. შრომელ და გენიჩესკელ, ტალალაევკელ და ზუგდიდელ კოლმეურნეთა მეგობრობა, ქართველ და უკრაინელ მეცნიერთა თანამშრომლობა საბჭოთა ხალხებისა და კერძოდ, უკრაინელი და ქართველი ხალხების მხურვალე, ძმური სიყვარულის ნათელი დადასტურებაა.

საბჭოთა კავშირის ხალხები დიდი სიყვარულით აღნიშნავენ რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს. ამ უმნიშვნელოვანესი თარიღის აღსანიშნავი სახალხო ზეიმის დროს რუსი, უკრაინელი და სსრ კავშირის სხვა მოძმე ხალხები პატივისცემითა და მადლიერების გრძნობით იგონებენ მამაც, თავისუფლებისმოყვარე უკრაინელ პატრიოტებს, რომლებმაც XVII საუკუნეში გაანადგურეს ვერაგი და ძალიერი მტერი — პოლონური შლიახტა — და განახორციელეს უკრაინელთა საუკუნოვანი მისწრაფება მოძმე რუს ხალხთან გაერთიანებისაკენ.

საბჭოთა ხალხები უღრმესი პატივისცემით იხსენებენ ბოგდან ხმელნიცკის მისი ბრძნული სახელმწიფოებრივი პოლიტიკისა და ბრწყინვალე მხედართმთავრული ოსტატობისათვის, რამაც ხელი შეუწყო უცხოელ დამპყრობთაგან უკრაინის განთავისუფლებისა და რუსეთთან მისი გაერთიანების უდიდეს საქმეს.

ამ მეგობრობის ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მიერ განხორციელებული უკრაინული ოპერა „ბოგდან ხმელნიცკი“, რომლის დადგმა მიეძღვნა რუსეთთან უკრაინის შეერთების სახელოვან თარიღს.

ნიჭიერი უკრაინელი კომპოზიტორის კონსტანტინე დანკევიჩის ოპერა „ბოგდან ხმელნიცკი“,

სცენა ოპერა „ბოგდან ხმელნიცკიდან“

რომელიც აგებულია ვ. ვასილევსკაიას და ა. კორნეიჩუკის ლიბრეტოზე, ეპიკურად გადმოგვცემს უკრაინელი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას პოლონელი პანების წინააღმდეგ, ოპერა შექმნილია რუსული კლასიკური ეპიკური ოპერების კეთილმყოფელი ტრადიციების გავლენით. ამ ღრმად ეროვნული ნაწარმოების ცენტრში დგას ხალხი. ოპერაში მკაფიოდ არის ნაჩვენები პოლონელი მაგნატების წამებით გამოწვეული უკრაინელი ხალხის მძიმე განცდები, ასევე მკაფიოდ არის წარმოსახული ხალხი — მეომარი, რომელიც გამოიწვრთნა ბრძოლებში, ძლიერ დისციპლინირებულ არმიად განმტკიცდა, ზეიმობს განარჯვებას და თავის ბედს სამუდამოდ უკავშირებს დიდი რუსი ხალხის ბედს. ოპერაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საგუნდო ანსამბლებს, რომლებიც შესანიშნავად გადმოსცემენ ხალხის განწყობილებას. საგუნდო ანსამბლებში კ. დანკევიჩმა დიდი წარმატებით გამოიყენა უკრაინული ხალხური სიმღერები, ჭიმაჭელური მელოდიები, ხალხურ ინტონაციებზე ააგო ოპერის გმირთა [illegible]

ზ. ფალიაშვილის სახელობის [illegible] ლუტის თეატრის მთელი კოლექტივი უდიდესი ენთუზიაზმითა და სიყვარულით მუშაობდა ამ ნაწარმოების ღირსეული სცენიური განხორციელებისათვის და მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწია.

დიდი ქების ღირსია სპექტაკლის დამდგმელის, კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის რეჟისორის, უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტის დიმიტრი სპოლიჩის ნამუშევარი. მან შექმნა ღრმა პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული, მონუმენტური დიადი სანახაობა. კოლორიტულია უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის პ. ზლორევსკის მიერ შექმნილი დეკორაციები და კოსტიუმები.

საუკეთესოდ ჟღერს ორკესტრი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის დირიჟორ ო. დიმიტრიადის ხელმძღვანელობით.

მგზნებარე ქართული ტემპერამენტი შეიტანეს მოცეკვავეებმა მშვენიერი უკრაინული ცეკვების შესრულებაში, როძლებიც დადგმულია საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის ზ. კიკალეიშვილის მიერ.

დღეს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენიდან ქართველი მაყურებელი პირველად მოისმენს უკრაინული ოპერის მომხიბლავ მელოდიებს.

სპექტაკლში ბოგდან ხმელნიცკის პარტიას ასრულებს სსრ კავშირის სახალხო არტისტი პეტრე ამირანაშვილი, რომელმაც დიდი სიყვარულითა და გულწრფელობით შექმნა უკრაინელი ხალხის გამოჩენილი შვილის სრულყოფილი სახე.

გეტმანის ერთგული თანამებრძოლის პოლკოვნიკ მაქსიმ კრიივონოსის სახეს წარმატებით ქმნის საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი დ. მჭედლიძე. სპექტაკლში მთავარ პარტიებს ასრულებენ აგრეთვე: გ. გეგუჩაძე (ბოგუნი), ლ. გიორგაძე (სოლომია), გ. შმალცელი (ვარვარა), ე. გოსტენინა (ელენე), ა. პირკუსი (რუსეთის ელჩი), ა. ლიტოვსკი (ლიზოგუბი), პ. თომაძე (ტური) და სხვ.

უკრაინელი ხალხის გმირული წარსულის ამსახველი ეს შესანიშნავი სპექტაკლი ჩვენი ქვეყნის ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობის მკაფიო გამოვლინებაა.

სცენა ოპერა „ბოგდან ხმელნიცკიდან“

ფოტო პ. ლუცენკოსი და გ. ვახტანგაძისა.

ცხვრის საზაფხულო გადარეკვას მოუმზადებელი შეხვდნენ

მატყლის პარსვა უყურადღებოდ არის მიტოვებული. გადასარეკი ტრასა მოუხერხებელია. მწყემსთა კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურება თვითდინებაზეა მინდობილი. ცეკავშირი უდარდელად ეკიდება მწყემსთა საჭიროებებს.

აზერბაიჯანის სსრ ზამთრის საძოვრებზე აპრილის შუა რიცხვებში საკმაოდ დაცხა. მეცხვარეებმა შირვანი დატოვეს, ცხვარი საზაფხულო იალაღებისაკენ დაიძრა. ქურდამირი — ახსუ—გეოგჩაი—აგდაში—ხანავათი—აქინაურები — ნარინჯა — აგრი! — ამ ტრასის გამოვლით წითელწყაროს, თელავის, სიღნაღის, ყვარლისა და ზოგიერთი სხვა რაიონის ცხვრის ფარები საქართველოს საზღვარს მოადგნენ. მებორნეებს დიდი ჯაფა დაადგათ. მათ ყოველდღიურად ათეულათასობით ცხვარი გადმოჰყავდათ მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირზე.

მოძმე რესპუბლიკის ტერიტორიიდან საქართველოში უკანასკნელად თელავის რაიონის სოფელ ვარდისუბნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ცხვრის ფარები გადმორეკეს. ფერმის გამგემ შ. ყარაულაშვილმა კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსის გ. ჯაშიაშვილისა და ვეტექიმის ა. ულუხანოვის ხელმძღვანელობით ოთხას-კილომეტრიან ტრასაზე უდანაკლისოდ გამოატარა პირუტყვი. დოლის პერიოდში ვარდისუბნელებმა ორი ათასზე მეტი ბატკანი მიიღეს. ამასთან ნამატი მთლიანად შეინარჩუნეს. ა. სუმბაძის ბრიგადამ ყველაზე მაღალი მაჩვენებლები მოიპოვა. მწყემსებს შორის პირველობა მიხეილ ლეგაშვილს ეკუთვნის.

საზაფხულო იალაღებზე ცხვრის გადარეკვა მეტად პასუხსაგები საქმეა, რადგან ასობით კილომეტრის გავლა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ვარდისუბნელებმა ეს დროულად გაითვალისწინეს, ცხვრის გადარეკვისათვის გულდასმით მოემზადნენ. ბრიგადებში დამატებითი მუშახელი გაგზავნეს. ავტომანქანა გამოყვეს. დედაცხვრის ფარები შეამოწმეს. სუსტი, ჩამორჩენილი, „გვიანა“ ბატკნების დედები ბატკნებით ცალკე ფარად გამოჰყვეს და მას გამოცდილი, საქმის მოყვარული მწყემსები მიუჩინეს. ცხვარს წინასწარ დათქმულ ადგილებში ასვენებენ, მზრუნველობას არ აკლებენ. მგზავრობის დროს დასუსტებული ცხვარი და ბატკანი ავტომანქანით გადაჰყავთ.

ლალისყურის კოლმეურნეობა „გამარჯვება“ დიდძალ პირუტყვს მიერეკება კავკასიონის მთავარი ქედისაკენ — ასახოს მთაში. საზაფხულო იალაღებზე ცხვრის გადარეკვას თვითონ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. შ. ედიშერიძე ხელმძღვანელობს. იგი ყოველნაირად ცდილობს აიცილოს მგზავრობით გამოწვეული ზარალი. პირუტყვის გადარეკვა აქ ორგანიზებულად მიმდინარეობს.

რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავის“ მეცხვარეობის ფერმის გამგე ს. როსტომაშვილი საზაფხულო საძოვრებისაკენ 3.740 სულ ცხვარს მიერეკება. ბრიგადირ ა. ხანჯალაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად წლევანდელი მკაცრი ზამთრისა, მას ნამატის 98 პროცენტი შეუნარჩუნებია. ამ საქმეში გამოცდილ მწყემსს ზაქარია მარგალიტაშვილს დიდი წვლილი მიუძღვის.

იყალთოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის ცხვრის ფარები თორღვას აბანოს თავში „განჯაურასა“ და „წყაროანაში“ მიემგზავრებიან. იყალთოელ მეცხვარეებს მამაცობა გამოუჩენიათ, ცხვარი ჯანსაღი და მაღალი შეხორცებისაა. მგზავრობის დროს ბატკნის ჯანმრთელობის შენარჩუნება ძირითადად დედაცხვარზეა დამოკიდებული. თუ მას რძე ბევრი აქვს, ბატკანი არ დაზარალდება. ამიტომ არის, რომ იყალთოელები დედაცხვარს კარგად აძოვებენ, ასვენებენ, წყალს არ აკლებენ.

ბალაღებისაკენ ცხვარს ორგანიზებულად მიერეკებიან ფშავლის, შალაურის, ყვარლის რაიონის შილდის, სიღნაღის რაიონის ანაგისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობები.

მაგრამ ცხვრის გადარეკვაში სერიოზული ნაკლოვანებებიც არის. ცხვრის გადასარეკავი ტრასის გაყოლებით ბუჩქები მატყლით არის გადათეთრებული. ზარალს რომ თავი დავანებოთ, განა შეიძლება 600-700 კილომეტრზე სიცხეში გაუპარსავი ცხვრის მგზავრობა? ცხადია, არ შეიძლება, მაგრამ მთელ რიგ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა, მტს-ების დირექტორებმა და სპეციალისტებმა აშკარა უდარდელობა გამოიჩინეს, საზაფხულო იალაღებზე გაუპარსავ ცხვარს მიერეკებიან. სოფელ ყარაღაჯთან (სიღნაღის რაიონი) ყვარლის რაიონის ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ათასობით სული გაუპარსავი ცხვარი ვნახეთ. ზოგიერთი პირუტყვისათვის ჯაგებს თითქმის მთლიანად გაუცლია მატყლი. მტსის ზოოტექნიკოსი ამ კოლმეურნეობაში ლ. სამტაშვილი გულდამშვიდებით აცხადებს: როცა ცხვარი ჩვენს რაიონს მოაღწევს, მაშინ გავპარსავთო. საერთოდ, ყვარლის რაიონში დღემდე ათას სულზე მეტი ცხვარი დროულად არ გაუპარსავთ. ყვარლისა და ენისლის მტს-ების დირექტორებმა ამხ. მესტვირიშვილმა და ამხ. ლომაურმა ამ საქმეში უდარდელობა გამოიჩინეს.

თელავისა და ნაფარეულის მტს-ის მუშაკებმა დიდი გადამეტებით შეასრულეს ცხვრის პარსვის დავალება, მაგრამ გასაკეთებელიც ბევრი დარჩათ. ეს კი ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელებისა და ფერმების გამგეების უპასუხისმგებლობამ გამოიწვია. აკურის კოლმეურნეობა „მოწინავის“ მეცხვარეობის ფერმის გამგემ ივ. ელიზბარაშვილმა განაცხადა, ჩვენ მოწადინებული ვიყავით ჯანსაღი ცხვარი ზამთრის საძოვრებზე გაგვეპარსა, მაგრამ კოლმეურნეობის გამგეობა არ დაგვეხმარაო. უფრო მეტიც. იმის გამო, რომ დამატებითი მუშახელი არ გაუგზავნეს, ცხვრის ერთ ფარას მარტო ფერმის გამგე მიერეკება. ცხვრისა და ბატკნის ნაწილი დასუსტებულია, ზოგი დაკოჭლებულა, სიარული უჭირთ. მათ გადასაყვანად ავტომანქანა არა აქვთ. განა ამას მოუწონებენ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ს. პაატაშვილს?

გულგულის კოლმეურნეობას მოუვლელობით დიდძალი ცხვარი დაეხოცა. ნამატის 30 პროცენტიც კი ვერ შეინარჩუნეს. რაც დარჩათ, იმასაც ხეირიანად არ უვლიან. ცხვრის გადარეკვა საზაფხულო საძოვრებზე არაორგანიზებულად მოაწყეს. კოლმეურნეობის თავმჯდომარის ვ. კარჭაულის უპასუხისმგებლობის გამო ცხვარი გაუპარსავია. აკლიათ მუშახელი, არა აქვთ საჭირო ტრანსპორტი.

კონდოლის კოლმეურნეობამ ცხვარი დიდი დანაკლისით გამოაზამთრა. ფერმის გამგემ ვ. ნაწიფაშვილმა ისიც კი „მოახერხა“, რომ შირვანიდან ცხვარი გაუპარსავი წამოიყვანა.

დუქარდით ცხვრის პარსვა დიდ შრომას მოითხოვს. ამასთან პირუტყვი ხშირად ზარალდება, დიდძალი მატყლი იკარგება. მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობათა ერთი ნაწილი კვლავ ძველი, პრიმიტიული წესით აწარმოებს ცხვრის პარსვას, მაშინ როცა მტს-ები აღჭურვილი არიან ცხვრის საპარსავი მაღალი წარმადობის მანქანებით. ასე მოიქცა, მაგალითად, თელავის რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობა, რომელმაც ამით დიდი შრომაც გასწია და მატყლიც ბევრი დაკარგა.

ცხელ ამინდში ტკიპი მრავლდება. იგი ციებ-ცხელებით აავადებს ცხვარს. ტკიპის საწინააღმდეგოდ ცხვრის გასაბანებლად საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საბათლოს ბორანზე წელს პირველად მოაწყო აბაზანები. აქ სხვა სპეციალისტებთან ერთად მეცნიერი მუშაკები ი. ცომაია და ა. როსტომაშვილიც არიან. ეს კარგია. მაგრამ ცუდია ის, რომ ცხვრის დასამუშავებლად ერთი და ისიც უვარგისი აბაზანა მოუწყვიათ. უფრო მეტიც, 6 მაისს წყლის ტემპერატურის საზომიც კი არ აღმოაჩნდათ.

დაავადებათა საწინააღმდეგოდ ცხვრის დამუშავებაში ზოგიერთი კოლმეურნეობის მეცხვარეებიც დანაშაულს სჩადიან: თელავის რაიონის გულგულის კოლმეურნეობის ფერმის მუშაკებმა ცხვარს არ უწამლეს იმ მიზეზით, რომ „მოსაცდელი ადგილი არ იყოო“. მოსაცდელი ადგილი არის, მაგრამ სიზანტე გამოიჩინეს. ამ საქმეში კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. კარჭაულიც დამნაშავეა.

უკვე ოც დღეზე მეტია, რაც გრძელდება მწყემსთა მგზავრობა, ამ ხნის განმავლობაში მათთან არავის გაუმართავს ლექცია-მოხსენებები, არ უჩვენებია კინოსურათები, ისინი მოკლებული არიან ჟურნალ-გაზეთებს და სხვ. ეს ნაკლოვანებანი არ იქნებოდა, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მწყემსების კულტურული მომსახურების გაწევა რომ გახსენებოდა. მწყემსები საექიმო დახმარებასაც მოკლებული არიან. ერთი მომთაბარე ექიმი მთელ ტრასაზე მომსახურებას ვერ გასწევს. ეს საქმე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს უნდა მოეგვარებინა. მწყემსები უკმაყოფილო არიან მათდამი ცეკავშირის გამგეობის უყურადღებობითაც. არც ტყუიან. ნუთუ არ შეიძლებოდა, რომ ტრასაზე მწყემსების მომსახურებისათვის ორი-სამი მოძრავი კოოპერატივი გამოეყოთ? შეიძლებოდა, მაგრამ არ ითავეს. მწყემსების მომსახურებაში არსებული ნაკლოვანებანი იმითაც არის გამოწვეული, რომ პარტიის წითელწყაროს, თელავის, სიღნაღის, ყვარლის რაიკომების მდივნები და რაისაბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები იშვიათად მიდიან მწყემსებთან, ნაკლებად სწავლობენ მათს საყოფაცხოვრებო პირობებს. ამიტომ იყო, რომ ახმეტის რაიონის ქორეთისა და ომალოს კოლმეურნეობების მეცხვარეებმა ცუდად გამოაზამთრეს ცხვარი.

რამდენიმე სიტყვა ცხვრის გადასარეკი ტრასის შესახებ. ტრასის თვითეულ მხარეზე სიგანით 50 მეტრი მანძილი მაინც უნდა იყოს დატოვებული. ფაქტიურად ეს მანძილი ზოგან 5-10 მეტრს არ აღემატება. ყოველი 30-35 კილომეტრის გავლის შემდეგ ცხვარს დასვენება და ძოვება სჭირდება. საამისოდ წინათ გამოყოფილი იყო დასასვენებელი ადგილები. ახლა კი ისინი თითქმის ყველგან გადახნულია. მდინარე ალაზნის ხიდთან ათობით ფარა ისვენებდა ხოლმე. ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებმა ეს ადგილი მოხნეს და პური დათესეს. ახლა აქ ასი სული ცხვარიც ვეღარ დაისვენებს. ასევე მოხდა თელავის, გურჯაანის, სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონებშიც.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმებმა მეცხოველეობის აღმავლობის უზრუნველსაყოფად უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი დასახეს. ამ ღონისძიებათა განხორციელება პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა. საზაფხულო იალაღებზე ცხვრის გადარეკვაში არსებული ნაკლოვანებანი სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

ს. ძოწილაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

ჟენევის თათბირზე საბჭოთა დელეგაციის პრეს-კონფერენცია

ჟენევა, 7 მაისი. (საკდესის სპეც. კორეს-პონდენტი). დღეს დღისით საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე საბჭოთა დელეგაციის პრეს-განყოფილებამ „პრესის სახლში“ გამართა პრეს-კონფერენცია საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის, რომლებიც აშუქებენ თათბირის მსვლელობას. პრეს-კონფერენციაზე, რომელმაც ჟურნალისტთა წრეებში დიდი ინტერესი გამოიწვია, შეიკრიბა სხვადასხვა ქვეყნის პრესის რამდენიმე ასეული წარმომადგენელი.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგემ ლ. ფ. ილიჩოვმა პრეს-კონფერენციაზე გააკეთა შემდეგი განცხადება:

უცხოეთის პრესის ზოგიერთი ორგანო, იმოწმებს რა საფრანგეთის წყაროებს, ავრცელებს ცნობებს, თითქოს უარყოფილ იქნა „ფრანგების თხოვნა იმის შესახებ, რომ მოხდეს დაზავება დიენ-ბიენ-ფუში დაჭრილთა ევაკუაციის მიზნით“. ამასთან იმოწმებენ იმას, რომ 6 მაისს მოხდა საფრანგეთის დელეგაციის წარმომადგენლის შეხვედრა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წარმომადგენელთან.

პრესის ეს ცნობები არ შეესაბამება სინამდვილეს და ამახინჯებს ფაქტებს.

როგორც ცნობილია, 28 აპრილს საფრანგეთის დელეგაციამ საბჭოთა დელეგაციას განუცხადა სურვილი „გადაიჭრას დიენ-ბიენ-ფუს რაიონიდან დაჭრილთა ევაკუაციის საკითხი“.

ცნობილია აგრეთვე, რომ საბჭოთა დელეგაცია თანაგრძნობით მოეკიდა იმას, რომ დაჭრილთა ევაკუაციის საკითხი დაუყოვნებლივ გადაწყდეს და აღნიშნული საკითხის უსწრაფესი გადაწყვეტის მიზნით დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლები დაუყოვნებლივ შეხვდნენ ერთმანეთს, თუ საჭირო იქნება ჟენევაში.

იუწყებიან, რომ 6 მაისს საფრანგეთის დელეგაციის წარმომადგენელი მისი თხოვნით შეხვდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წარმომადგენელს და საუბარში შეეხო საკითხს იმის შესახებ, რომ სასურველია დაჭრილთა ევაკუაცია დიენ-ბიენ-ფუს რაიონიდან. როგორც გამოირკვა, ჩინეთის დელეგაციის წარმომადგენელი კეთილმოსურნეობით მოეკიდა საფრანგეთის დელეგაციის ამ სურვილს და ის აზრი გამოთქვა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტის დასაჩქარებლად იგი განხილულ უნდა იქნას პარასკევს 7 მაისს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე ინდოჩინეთის პრობლემის განხილვის დროს. სწორედ 7 მაისისათვის იყო განზრახული პირველი სხდომა ინდოჩინეთის საკითხზე.

მაგრამ საფრანგეთის დელეგაციამ ამ წინადადებისადმი, რომლის მიზანია დაჭრილთა ევაკუაციის საკითხის უსწრაფესი გადაწყვეტა, როგორც ჩანს, არ გამოიჩინა ინტერესი. უფრო მეტიც, 6 მაისს საღამოს საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციებმა განაცხადეს, რომ მათი წინადადებაა ინდოჩინეთის საკითხის განხილვა პარასკევიდან 7 მაისიდან გადატანილ იქნას შაბათს 8 მაისს ან ორშაბათს 10 მაისს.

ზემოთ აღნიშნული ფაქტები ცხადყოფენ, თუ ვინ აჭიანურებს დიენ-ბიენ-ფუდან დაჭრილთა ევაკუაციის საკითხის გადაწყვეტას და ამასთან ერთად ვინ ეწევა დეზინფორმაციას საზოგადოებრიობის მოტყუების მიზნით.

ვიეტნამის სახალხო არმიამ დაიკავა დიენ-ბიენ-ფუ

ლონდონი, 7 მაისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი პარიზიდან იუწყება, დღეს ვიეტნამის სახალხო არმიამ დაიკავა ციხე-სიმაგრე დიენ-ბიენ-ფუ.

საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი

ჟენევა, 7 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ვ. მ. მოლოტოვის თავმჯდომარეობით გაიმართა საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირის მერვე სხდომა.

თათბირის მონაწილენი განაგრძობდნენ დღის წესრიგის პირველი პუნქტის — კორეის საკითხის განხილვას.

სიტყვა პირველმა მიიღო ფილიპინების წარმომადგენელმა კარლოს გარსიამ. მან გაიმეორა ყალბი არგუმენტები, რომლებიც გამოიყენეს ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ და ამერიკის დიქტატისადმი მორჩილი ზოგიერთი სხვა ქვეყნის დელეგაციებმა იმისათვის, რომ წინ აღდგომოდნენ კორეის საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებას დემოკრატიულ საწყისებზე, კორეელი ხალხის ეროვნულ მისწრაფებათა შესაბამისად.

გარსია იცავდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის უკანონო რეზოლუციებს, რომლებიც ამერიკულმა უმრავლესობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში თავს მოახვია გენერალურ ასამბლეას და რომელთა მიზანია ხელი შეუშალონ კორეელ ხალხს თვითონ გადაწყვიტოს საკუთარი საქმეები.

თავი აარიდა რა თათბირის დღის წესრიგში დასმული საკითხის საქმიან განხილვას, ფილიპინების დელეგატმა ბევრი დრო წაართვა თათბირს იმით, რომ გაიმეორა ამერიკის პროპაგანდის სულელური ჯორები, რომლებიც მიმართულია საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ. ამავე დროს გარსია როგორც ეერთგული ქვაშეერდომი ხოტბას ასხამდა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას, რომლის მიზანია დაიცვას დასაღუპავად განწირული კოლონიური რეჟიმები აზიაში.

თათბირის მონაწილეებს ფილიპინების წარმომადგენლისაგან არ სმენიათ არც ერთი კონკრეტული წინადადება, რომელიც რამდენადმე მაინც შეუწყობდა ხელს კორეის საკითხის გადაჭრას სხვადასხვა თვალსაზრისის გათვალისწინების საფუძველზე.

ფილიპინებისა და ამერიკის ბანაკის სხვა ქვეყნების წარმომადგენლებისაგან განსხვავებით, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ამერიკის სამხედრო ინტერვენციაში კორეაში, ახალი ზელანდიის წარმომადგენელმა კლიფტონ უებმა უარი თქვა კორეის ომისშემდგომი ამბების ისტორიულ „ექსკურსზე“, განაცხადა რა, რომ „ზედმეტია წარსულზე ლაპარაკი“. ახალი ზელანდიის დელეგატმა თქვა, რომ მზად არის მთელი ყურადღება მიაქციოს საკითხს, თუ როგორ უნდა გადაიჭრას თათბირის მონაწილეების წინაშე დასმული კორეის პრობლემა. მან აღნიშნა, რომ თათბირის მონაწილენი კორეის საკითხის განხილვას უნდა მიუდგნენ „შერიგების სულისკვეთებით“ და ესწრაფვოდნენ შეთანხმებას „ურთიერთდათმობის საფუძველზე“.

უებმა აღიარა, რომ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ვერ შეძლო განეხორციელებინა „იმედები“, რომლებსაც მასზე ამყარებდნენ კორეის საკითხში. ამავე დროს მან განაცხადა, რომ არ შეუძლია მხარი დაუჭიროს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის პოზიციასაც, თუმცა ამ დელეგაციამ, როგორც ცნობილია, შეიტანა კონკრეტული წინადადებანი კორეის ეროვნული ერთიანობის აღდგენისა და სრულიად კორეის თავისუფალი არჩევნების მოწყობის ღონისძიებათა შესახებ.

ახალი ზელანდიის წარმომადგენელმა გააკეთა თავისი შენიშვნები კორეის წინადადებათა ცალკეული პუნქტების გამო. მან თქვა, რომ „არ უნდა იქნას დაუყოვნებლივ უარყოფილი ამ წინადადებათა ის პუნქტი, რომელიც შეეხება კორეაში თავისუფალი არჩევნების მოწყობას, და რომ იგი „უნდა შეისწავლონ“.

დღევანდელ სხდომაზე უკანასკნელი გამოვიდა კოლუმბიის წარმომადგენელი სულეტა ანხელი. ისეე როგორც თავის პირველ გამოსვლაში თათბირის 27 აპრილის სხდომაზე, სულეტა ამტკიცებდა, რომ კორეის საკითხის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციის საფუძველზე. დაეყრდნო რა ამ უკანონო გადაწყვეტილებებს, რომელთა მიღებაში, როგორც ცნობილია, არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ კორეელი ხალხის წარმომადგენლებს, და რომლებიც წარმოადგენენ ცალმხრივ გადაწყვეტილებებს, რაც გენერალურ ასამბლეას თავს მოახვია ამერიკულმა უმრავლესობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, სულეტამ შეიტანა წინადადება მოეწყოს კორეაში არჩევნები უცხო სახელმწიფოთა კონტროლით და ისეთ პირობებში, როცა კორეაში არიან უცხოეთის შეიარაღებული ძალები. კოლუმბიის წარმომადგენელი ცდილობდა დაეტკიცებინა, რომ ასეთი „არჩევნები“ თითქოს ხელს შეუწყობს კორეელი ხალხის ნების თავისუფალ გამოვლენებას.

კოლუმბიის წარმომადგენელის სიტყვის დასკვნითმა ნაწილმა, რომელშიც იგი მაამბლუურად ასხამდა ხოტბას შეერთებული შტატების პოლიტიკას და ეგრეთწოდებულ „ცხოვრების ამერიკულ წესს“, ერთხელ კიდევ ცხადყო, ვისი ინტერესების დაკმაყოფილებისათვის ზრუნავდა იგი, როცა წამოაყენა წინადადებანი, მიმართული იმის წინააღმდეგ, რომ კორეა გაერთიანდეს ნამდვილ დემოკრატიულ საწყისებზე.

სულეტას გამოსვლის შემდეგ თავმჯდომარემ ვ. მ. მოლოტოვმა განაცხადა, რომ სხვა არავინ ჩაწერილა კამათში მონაწილეობისათვის. მან თქვა, რომ ხვალ პლენარული სხდომა კორეის საკითხზე არ გაიმართება, რადგან არ ჩაწერილან ორატორები, აგრეთვე იმის გამო, რომ შესაძლოა მოეწყოს სხდომა ინდოჩინეთის საკითხზე. ვ. მ. მოლოტოვმა დასძინა, რომ საბოლოოდ ამ საკითხის გადაჭრა შეიძლება იმ ცნობების საფუძველზე, რომლებსაც მიიღებენ დღის ბოლოს ან ხვალ დილით.

ამით დამთავრდა სხდომა.

ბულგარელი ხალხი აღნიშნავს დიმიტრ ბლაგოევის გარდაცვალების 30-ე წლისთავს

სოფია, 7 მაისი. (საკდესი). დღეს შესრულდა 30 წელი, რაც გარდაიცვალა დიმიტრ ბლაგოევი—მარქსიზმის თვალსაჩინო თეორეტიკოსი და პროპაგანდისტი ბულგარეთსა და ბალკანეთში. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი. ბულგარეთის მშრომელები წმიდად ინახავენ დიმიტრ ბლაგოევის ნათელ ხსოვნას. ბულგარეთის ყველა ქალაქში გაიმართა მისი გარდაცვალების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კრებები. ბულგარეთის გაზეთებმა გამოაქვეყნეს მოწინავე სტატიები და სხვა მასალები ბლაგოევის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ. გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ დიმიტრ ბლაგოევის მონაწილეობას რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში და მის დიდ დამსახურებას ბულგარეთის კომუნისტური პარტიის შექმნაში.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის მიმართვა მსოფლიოს ახალგაზრდობისადმი

ბუდაპეშტი, 7 მაისი. (საკდესი). დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის სამდივნომ გამოაქვეყნა მიმართვა მსოფლიოს ყველა ახალგაზრდისა და ახალგაზრდობის ორგანიზაციისადმი. მიმართვაში ფედერაციის 83 მილიონი წევრის — 93 ქვეყნის წარმომადგენლების სახელით წამოყენებულია მოთხოვნა დაუყოვნებლივ აიკრძალოს მასობრივი მოსპობის ყველა სახეობის იარაღი, კანონგარეშე გამოცხადდეს ატომური ომი და დაუყოვნებლივ დამყარდეს ისეთი საერთაშორისო კონტროლი, რომელიც სავსებით გამორიცხავდა ატომის ენერგიის გამოყენების შესაძლებლობას ომის მიზნებით.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია, ნათქვამია მიმართვაში, მოგიწოდებთ თქვენ გააერთიანოთ ძალღონე, რათა დაიცვათ თქვენი ცხოვრება, დაიცვათ უდიდესი სიმდიდრე, რომელიც კაცობრიობას შეუქმნია საუკუნეთა განმავლობაში, — მხატვრული, სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა; მოაწყეთ კრებები, ასამბლეები, მიტინგები, გაგზავნეთ თქვენი წარმომადგენლები პარლამენტებისა და მუნიციპალიტეტების დეპუტატებთან, მოაგროვეთ ხელისმოწერა — მოითხოვეთ დაუყოვნებლივ აიკრძალოს ეს საშინელი იარაღი.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციამ, აღნიშნულია შემდეგ მიმართვაში, მზად არის ითანამშრომლოს ახალგაზრდობის ყველა საერთაშორისო, ეროვნულ, ადგილობრივ ორგანიზაციასთან — პროფკავშირებთან, რელიგიურ, სტუდენტთა, პოლიტიკურ, კულტურულ და სასპორტო ორგანიზაციებთან, რომლებიც ილაშქრებენ მასობრივი მოსპობის იარაღის წინააღმდეგ. დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია მზარს დაუჭერს ყოველ ინიციატივას ამ მიმართულებით, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს იგი.

ფინეთის ახალი მთავრობის საპროგრამო განცხადება

ჰელსინკი, 6 მაისი. (საკდესი). დღეს აქ გამოქვეყნდა ფინეთის ახალი მთავრობის საპროგრამო განცხადება. განცხადებაში ნათქვამია:

სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში მთავრობა ხელმძღვანელობს საგარეო პოლიტიკაში უკვე სტაბილური ძირითადი მოსაზრებებით, რომელთა შესახებ ფინეთში სრული ერთსულოვნებაა. ფინელმა ხალხმა თავი უნდა აარიდოს დიდ სახელმწიფოებს შორის არსებულ წინააღმდეგობებს და ეცადოს კარგი ურთიერთობა იქონიოს ყველა ხალხთან. ფინეთის ურთიერთობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იქმნებოდა არა მარტო ფინეთის გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, არამედ უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირთან დადებული საზავო ხელშეკრულების, აგრეთვე მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების საფუძველზე, რომლებიც ძალაში რჩება. ფინეთის ტრადიციული კავშირი ჩრდილოეთის სხვა ქვეყნებთან, და განსაკუთრებით შვეციასთან, აგრეთვე გაგლესან ახდენს ჩვენი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაზე.

შემდეგ განცხადებაში ნათქვამია, რომ თავის საშინაო პოლიტიკაში მთავრობა „ეცდება ხელი შეუწყოს სიმშვიდის შენარჩუნებას შრომის ბაზარზე, სხვადასხვა ჯგუფებს შორის წინააღმდეგობის აღმოფხვრას“. განცხადებაში ჩამოთვლილია აგრეთვე ამოცანები, რომლებსაც მთავრობა ისახავს სოციალური დაზღვევის, გადასახადებით დაბეგვრის, ეკონომიკის, სახალხო განათლებისა და სხვა დარგებში.

სავალდებულო გადაწყვეტილება

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომისა „თბილისის ზღვის“ ტერიტორიაზე საბანაო ადგილების, აგრეთვე ნიჩბიანი და მოტორიანი ნავების სარგებლობის წესების შესახებ

„თბილისის ზღვის“ ტერიტორიაზე მოსახლეობის უკეთ მომსახურებისა და უბედურ შემთხვევათა თავიდან აცილების მიზნით თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი ადგენს:

1. აიკრძალოს ბანაობა „თბილისის ზღვის“ ტერიტორიაზე საბანაოდ გამოყოფილი ადგილების ფარგლებს გარეთ.

2. თვითეულ საბანაო ადგილს უნდა ჰქონდეს მაშველი საგუშაგო, სადაც მუდამ უნდა მორიგეობდეს სპეციალური პირი, რომელიც კარგად უნდა იცნობდეს წყალზე შველის ხერხებსა და პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესებს.

3. საბანაო ადგილზე დაცული უნდა იყოს სრული სისუფთავე.

4. „თბილისის ზღვის“ ტერიტორიაზე უნდა იმყოფებოდნენ ინსტრუქტორები სამეთვალყურეოდ და ბანაობის წესის შესახებ ინსტრუქტაჟის გასაწევად.

მათი მითითებანი ბანაობის წესის შესახებ სავალდებულოა ყველა მობანავისათვის.

მცირეწლოვანები (14 წლამდე) საბანაოდ დაიშვებიან მხოლოდ მოზრდილებთან ერთად ან მათი მეთვალყურეობით.

5. აკრძალულია:

ა) იმ პირთა ბანაობა, რომლებსაც კანის დაავადება აქვთ ან ნასვამი არიან, აგრეთვე ბანაობა ისე, თუ მობანავეს ტრუსები ან საბანაო კოსტიუმი არ აცვია;

ბ) ცხოველთა დაბანავა, აგრეთვე თეთრეულის რეცხვა და წყალში გავლება საბანაოდ გამოყოფილ ადგილებზე;

გ) ცურვისათვის გამოყოფილი ადგილის ფარგლებს იქით გაცურვა;

დ) მოტორიან, იალქნიან გემებთან, ნიჩბიან და სხვ. ნავებთან ცურვით ახლოს მისვლა;

ე) ტექნიკურ გამაფრთხილებელ ნაგებობებზე (ტიტვივებზე, ბაკენებზე და სხვ.) ასვლა;

ვ) წყლისა და ნაპირის გაბინძურება, ნამწვის, ქაღალდის, საკმლის ნარჩენების დაყრა და სხვ.

ზ) სპორტიანი სასმელების სმა ნავებსა და კატერებში;

თ) ნავებში დგომა, ნავის კარბებზე ჯდომა, ნავებიდან, კატერებიდან და სხვა გემებიდან, აგრეთვე სასპორტო მიზნებისათვის მოუწყობელი ნაგებობებიდან წყალში ხტომა;

ი) ნავების სასეირნოდ მიცემა იმ პირთათვის, რომლებსაც თან ჰყავთ 8 წლამდე ასაკის ბავშვები, და 14 წლამდე ასაკის მცირეწლოვანთათვის, თუ მათთან მოზრდილები არ არიან;

კ) ნავებში, მათ შორის მოტორიან ნავებში ადამიანთა შეშვება თვითეული ნავისათვის დაწესებული ნორმის ზევით;

ლ) ერთი ნავიდან მეორეზე გადაჯდომა და ნავში ადგილიდან ადგილზე გადასვლა ნავის მოძრაობის დროს, აგრეთვე ნავის არა ნაპირთან დგომის დროს;

მ) ნავებთან სეირნობა 21 საათის შემდეგ;

ნ) მოტორიანი ნავების მოძრაობა საათში 20 კილომეტრზე მეტი სისწრაფით;

ო) ნიჩბიანი, მოტორიანი და იალქნიანი გემების მოძრაობა მასობრივი ბანაობის ზონებში;

პ) ნავების ნაპირთან მიდგომა არა ნავმისადგომ ადგილებზე;

ჟ) ნავების გადაცემა სხვა პირებისათვის;

რ) უწესივრო ნავების, აგრეთვე ისეთი ნავების გაცემა, რომლებზეც არ არის მათთვის დაწესებული ინვენტარი (ნიჩბების, სანიჩბეების, ჯაჭვებისა და სამშველი ხელსაწყოების — ბურთობების ან რკალების და სხვ. კომპლექტები);

ს) ყველა სახის ტრანსპორტის მისვლა ზღვის ნაპირთან 50 მეტრზე უფრო ახლოს.

6. ამ სავალდებულო გადაწყვეტილების დარღვევის ან შეუსრულებლობისათვის დამნაშავენი ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდებიან 100-მდე მანეთით ან მიესჯებათ იძულებითი მუშაობა 30-მდე დღის ვადით.

7. ამ სავალდებულო გადაწყვეტილების შესრულებისათვის თვალყურის დევნება ეკისრებათ „თბილისის ზღვის“ წყალსადგურის ადმინისტრაციას და მილიციის ორგანოებს.

8. ეს სავალდებულო გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. მაღრაძე.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი შ. ბაქრაძე.

1954 წლის 5 მაისი.

ახალი წიგნები

ხუტა ბერულავა. „ოქრი პოემა“. წიგნში მოთავსებულია პოემები: „სიმღერა ვარსკვლავებზე“ და „რუსული გული“. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“. თბილისი, 1954 წელი. ტირაჟი 5.000. გვ. 100. ფასი 3 მან. 40 კაპ.

ა. ტვარდოვსკი — „ვასილ ტიოტკინი“. მთარგმნელი ო. ჭელიძე. სახელგამი, თბილისი, 1953 წელი. ტირაჟი 7.000, გვ. 219, ფასი 6 მანეთი და 50 კაპ.

ვ. ოსეევა — „ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები“. მესამე წიგნი. მთარგმნელი ელ. გოგოლაშვილი. საბლიტგამი, თბილისი, 1953 წელი, ტირაჟი 8.000, გვ. 345, ფასი 8 მან. 90 კაპ.

მწერალთა კლუბში

ორშაბათს, 10 მაისს საღამოს 8 საათზე, მწერალთა კავშირის კლუბში (მაჩაბლის ქუჩა № 13) საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი და საქართველოს თეატრალური საზოგადოება აწყობენ მარჯანიშვილის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლის „უფსკრულთან“ (პიესის ავტორი ვ. გაბესკირია) განხილვას.

სხდომას შესავალი სიტყვით გახსნის შ. დადიანი. მოხსენებას წაიკითხავს ბ. ელენტი. კამათში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები და ხელოვნების მუშაკები.

მ. ბოტვინიკისა და ვ. სმისლოვის მატჩი

გუშინ ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა მსოფლიო პირველობაზე საბჭოთა გროსმაისტერების მ. ბოტვინიკისა და ვ. სმისლოვის მატჩის 22-ე პარტია. საინტერესო ბრძოლის შემდეგ პარტია გადაიდო.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

ამხ. დ. ნ. ლომაშვილი საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრის მოადგილედ კადრების დარგში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გაათავისუფლა:

ამხ. ნ. კ. ბარკალაია საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სპეციალური სამკურნალო-სანიტარიული სამმართველოს უფროსის მოვალეობისაგან.

რედაქტორის მოადგილე
რ. ქურციკიძე.

დღეს თბილისის თეატრებსა და კინოებში

რუსთაველის სახელობის — სარეველა (დილას), დიადი მომავლისათვის (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — გვარის დაუსახელებლად, **გრიბოედოვის სახელობის** — ასი მილიონი (დილას), კიკვიძე (საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — რაც გინახავს, ველარ ნახავ (დილას), ჩვენი ნაცნობები (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ორი სპეციალისტი (აბონემენტი № 42, 12 ს.), კომბლე (აბონემენტი № 35, 7 ს.).

* * *

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, ისანი, 26 კომისრის — ორი გროში იმედი, **თბილისი** — საერთაშორისო კონცერტი, **კოლხიდა, დიდუბე, ოფიცერთა სახლი** — ხომალდის მეთაური, **კოლმეურნე** — ვარსკვლავი.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

9 მაისს	**ახალი წარმოდგენა** კ. დანკევიჩი — **ბოგდან ხმელნიცკი**
11 მაისს	ხ. ფალიაშვილი — **დაისი**

(დასაწყისი საღამოს 8 ს.

ანეტო, ივანე, შალვა, სევერიანე, ვლადიმერ, ბაბულია, ზინა, ლუნა, ფაცო, ლუბა კარსანიძეები, სიძე ვ. ბარაბაძე იუწყებიან მაზლისა და ბიძის **სპირიდონ ფარნაოზის-ძე კარსანიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-V სოფ. მათხოჯში.

ვარლამ ძიძიგური ოჯახით იუწყება **ალექსანდრე გვახარიას** გარდაცვალებას.

მეუღლე ვარლამ, შვილები ალექსანდრე, ანა, თინა, რძალი ანა, სიძეები დ. ქათამიძე, ს. კაჭარავა, დები ეფროსინე, თამარ, ძმები ლევარსი, კირილე, გრიგოლ იუწყებიან **ბაბინე ირაკლის ასულ ბორჩხაძე-სალუქვაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-V მახარაძეში.

და გოგონა, ბებია მაშო, დეიდები თამარ, ზინა, ბიძები ბ. კიკაჩეიშვილი, შ. გუმბერიძე ოჯახებით, დეიდაშვილები გურამ, ზურაბ, ბიძაშვილები ლეილა, მიმოზა, თენგიზ, სიძე გ. მძინარიშვილი იუწყებიან **ფეერია ქართველიშვილის** გარდაცვალებას, პანაშვიდი 9, 10-V, 8 ს. გამოსვენება 11-V, 5 ს. ლენინის ქ. № 63

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობა-მევენახეობის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია-ეკონომიკის ფაკულტეტების პროფესორ-მასწავლებლები იუწყებიან **გიორგი ონისიმეს-ძე ვარდოსანიძის** გარდაცვალებას.

მშობლები შოთა, ნადია, ძმა ვაჟა მხეიძეები, ბაბუა აველი, ბებიები კალისტინე, ადოლფინე, ბიძები ბუჯა მხეიძე, ვახტანგ გონგაძე, მამიდა თალიკო ხოფერია ოჯახებით იუწყებიან **რუსიკო მხეიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 9-V, 5 ს. საბჭოს ქ. № 171.

სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის პროპედევტიკული თერაპიული კლინიკის და ქალაქის I საავადმყოფოს II თერაპიული განყოფილების ექიმები იუწყებიან **კესარია დავითის ასულ ინასარიძე-მაცაბერიძის** გარდაცვალებას.

ფსიქიატრიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, რესპუბლიკური ფსიქიატრიის კლინიკური საავადმყოფოს და რესპუბლიკის ფსიქო-ნევროლოგიური დისპანსერის თანამშრომლები იუწყებიან თანამშრომელ **თინა ვასილის ასულ არჯევანიძე-კაკაბაძის** გარდაცვალებას.

ი. ჭავჭავაძის სახელობის ქალთა 23-ე საშუალო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი იუწყებიან **ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე გვახარიას** გარდაცვალებას.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექცია, პარტიული კომიტეტი და ადგილკომი იუწყებიან **არტემ მარკოზის-ძე კვირკველიას** გარდაცვალებას.

დები ქეთო, მარო, სულიკო, ვარა, ციცინო, ძმები უჩა, ანდრო ქავთარაძეები, რძლები ლეილი, ვარა, სიძე მიხეილ რუხაძე შვილებით იუწყებიან **ანიკო დავითის ასულ ქავთარაძე-ამაშუკელის** გარდაცვალებას.

მეუღლე ალექსანდრე, მამა ნიკოლოზ, ძმა არსენ, ბიძა ეევენი ოჯახებით, მული ზინა იუწყებიან **მარო ნიკოლოზის ასულ ზაალიშვილი-ბახილაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-V, 8 ს. გამოსვენება 11-V, 6 ს. საბჭოს ქ. № 82.

ინა და გიორგი ხეჩინაშვილები იუწყებიან ძმის **ვალერიან დიმიტრის-ძე ნაზარიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-V, 6 ს. ქ. ქუთაისში, გამოსვენება გოგებაშვილის ქ. № 15.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეებისა—3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების და მარქსიზმ-ლენინური თეორიის პროპაგანდის—3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტისა და პრესის მიმოხილვის—3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურის და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვებლ—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

უე 04008 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

საერთაშორისო მიმოხილვა

კორეის საკითხი ჟენევის თათბირზე

მთავრდება საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირის მუშაობის მეორე კვირა. უმნიშვნელოვანესი ის, რომ თათბირში მონაწილეობას იღებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, როგორც ერთი ხუთთაგანი დიდი სახელმწიფო. ბურჟუაზიული პრესაც კი აღიარებს, რომ შეუძლებელია აზიის პრობლემების რაიმე მოწესრიგება უჩინეთოდ და რომ ჩინეთის ახლანდელი მთავრობა ჩინელი ხალხის წარმომადგენელია. ამერიკის დიპლომატიამ ჟენევაში უკვე განიცადა სერიოზული დამარცხება, ჯერ-ერთი, ჩაეფუშა ცდები შეემცირებინა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მნიშვნელობა და უარეყო მისი, როგორც დიდი სახელმწიფოს როლი და, მეორე, ვერ მიაღწია იმას, რომ ჩაეშალა ინდოჩინეთის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების ყოველგვარი შესაძლებლობა. უცხოეთის პრესა აღნიშნავს, რომ ორივე ამ საკითხში შეერთებული შტატები იზოლაციის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

ჟენევის თათბირის დღის წესრიგის პირველ პუნქტად განიხილავენ კორეაში სამოლო მოწესრიგების საკითხს.

„ჩვენს წინაშე დასახულია ამოცანა: ერთიანი და დამოუკიდებელი კორეის შექმნა მშვიდობიანი გზით, — თქვა ვ. მ. მოლოტოვმა თავის 29 აპრილის განცხადებაში ჟენევის თათბირზე. — ამ ამოცანის გადაწყვეტას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს კორეელი ხალხისათვის და ამასთან ერთად მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნებოდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში“.

ერთიანი და დამოუკიდებელი კორეა! ეს სიტყვები გამოხატავენ მთელი კორეელი ხალხის ძისწრაფებს, და ეს ის მთავარი, ძირითადი მიზანია, რომლის მიღწევა ჟენევის თათბირის ისტორიულ დამსახურება იქნებოდა. ის წრეებიც კი, რომლებიც გეგმავენ ახალ სამხედრო ლაშქრობებს, ოცნებობენ იმაზე, რომ გადაიქცეონ კორეა სამხედრო პლაცდარმად, რომელიც ყოველთვის შეეძლებათ გამოიყენონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, — ისინიც კი იძულებული არიან გვარწმუნონ, რომ თითქოს კორეის გაერთიანებისათვის ზრუნავენ. მაგრამ მათი გაგებით „კორეის გაერთიანება“ ძალიან თავისებურად გამოიყურება. ისინი ცდილობენ ძალით გაავრცელონ ლი სინ მანის დიქტატორული რეჟიმი მთელ კორეაზე და დაამკვიდრონ ამ ქვეყნის ამერიკული ოკუპაცია.

დემოკრატიულ და მშვიდობიან საფუძველზე კორეის ნამდვილი გაერთიანების პროგრამა ჟენევაში წარადგინა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციამ, რომელსაც მხარი დაუჭირეს სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლებმა. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნამ ირმა განაცხადა:

„კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მიაჩნია, რომ კორეიდან ექვსი თვის ვადაში გაყვანილ უნდა იქნან უცხოეთის მთელი ჯარები. ჩვენ მოვითხოვთ, რომ მშვიდობიანი გზით კორეის გაერთიანების საქმე მიენდოს თვით კორეელებ